საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით მეტრეველი

დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა კონკრეტული არეების შემთხვევაში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“ შიფრი 0501

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივლისი, 2016

საავტორო უფლება © 2016 წელი, მეტრეველი დავითი

თბილისი
2016 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მეტრეველი დავითის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა კონკრეტული არეების შემთხვევაში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან გიორგაშვილი

რეცენზენტი: ________________

რეცენზენტი: ________________

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

მათემატიკის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფ. ლევან გიორგაშვილი

რეცენზენტები: ___________________________

____

დაცვა შედგება ---------- წლის „--------„ --------------------, ----- საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის --------------------------------------
-------------------- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი ------, აუდიტორია ----------
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი პროფ. თინათინ კაიშაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2016

ავტორი: მეტრეველი დავით

დასახელება: „დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა კონკრეტული არეების შემთხვევაში“

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

დავით მეტრეველის სადისერტაციო ნაშრომი „დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა კონკრეტული არეების შემთხვევაში“ ძირითადად ეძღვნება მათემატიკური ფიზიკის, კერძოდ დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის სტსტიკის სამგანზომილებიანი სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების შესწავლას ორკომპონენტიანი დრეკადი ნარევებისაგან შედგენილი სხეულებისათვის.

თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებში ფართოდ გამოიყენება რთული სტრუქტურის დრეკადი კომპოზიტური მასალები და არსებითად განსხვავებული ფიზიკური თვისებების მქონე მასალებისგან შედგენილი კონსტრუქციები. ასეთი კომპოზიტური მასალებისა და კონსტრუქციების კლასს მიეკუთვნება ჰემიტროპული დრეკადი მასალები, ორი ან რამოდენიმე დრეკადი მასალისაგან დამზადებული ნარევები და სხვა. ასეთი მასალების მექანიკის პრაქტიკული ამოცანების გამოკვლევას ბუნებრივად მივყავართ ისეთი მათემატიკური მოდელის შექმნის აუცილებლობამდე, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად აღვწეროთ ექსპერიმენტის დროს მიმდინარე რეალური პროცესები. ბუნებრივია ასეთი მოდელების შედგენას, გამოკვლევას და გაანალიზებას შესაბამისი მექანიკური თერმული და სხვა ფიზიკური თვისებების დადგენის მიზნით, თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დრეკადი ნარევისათვის (მყარი სხეული - მყარ სხეულთან) პირველი მათემატიკური მოდელი, ე.წ. დიფუზიური მოდელი, ააგეს ა.გრინმა და ტ.სტილმა 1966 წელს. იმავე წელს მათ მიერ აგებულია დრეკად ნარევთა თერმოდრეკადობის ერთტემპერატურიანი თეორიის დიფუზიური მოდელი. ორტემპერატურიანი დრეკად ნარევთა თერმოდრეკადობის წრფივი თეორიის მათემატიკური მოდელი მარცვლოვანი, ბოჭკოვანი და ფენოვანი სტრუქტურების მქონე კომპოზიტებისათვის 1984 წელს აგებულ იქნა ლ.ხოროშუნისა და ნ.სოლტანოვის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტური მასალებისათვის მათემატიკური მოდელები სხვადასხვა ტემპერატურული ველების გათვალისწინებით გამოირჩევიან თავიანთი რთული სტრუქტურით და მათი გამოკვლევა თანამედროვე მძლავრი მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მოითხოვს დიდ ძალისხმევას. ამდენად მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით მიღებული შედეგები თავიანთი მეცნიერული ღირებულებებითა და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ფრიად აქტუალურია.

სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიზანია ორკომპონენტიანი დრეკად ნარევთა და ორტემპერატურიანი დრეკად ნარევთა (როცა ნარევში შემავალი კერძო გადაადგილებები ერთმანეთის ტოლია) თეორიის სტატიკის არაკლასიკური სამგანზომილებიანი სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანების შესწავლა კონკრეტული არეების შემთხვევაში, კერძოდ ბირთვისათვის და მთელი სივრცისათვის ბირთვული ღრუთი, ნახევარ სივრცისათვის ბირთვული ღრუთი, მთელი სივრცისათვის ორი ურთიერთ არაგადამკვეთი ბირთვული

ღრუთი და ნახევარ სივრცისათვის. შესწავლილია გრინის ფორმულების გამოყენებით ყველა ამოცანისათვის ერთადერთობის თეორემები.

ერთადერთობის საკითხის გაანალიზებისას, ორტემპერატურიანი დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის ამოცანების შემთხვევაში დისერტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს გარე ამოცანების შემთხვევაში დადგენილი სტრუქტურული და ასიმპტოტური შეზღუდვების საკმარისი პირობები უსასრულობის მიდამოში, რომლებიც უზრუნველყოფენ საძიებელი ამონახსნის ერთადერთობას.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია დრეკადობის და თერმოდრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი ფურიეს მეთოდი, რომელიც ეფუძნება მოცემული ძირითადი დიფერენციალური განტოლების ამოხსნას ცვლადთა განცალების მეთოდით გარკვეულ მრუდწირულ კორდინატთა სისტემის მიმართ. ამ მეთოდით სასაზღვრო ამოცანების შესწავლისას მთელი სიძნელე გადატანილია სასაზღვრო პირობების დაკმაყიფილებაში. დისერტაციაში მიღებულია ორტემპერატურიანი დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის (როდესაც კერძო გადაადგილებები ერთმანეთის ტოლია) დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნის ზოგადი წარმოდგენის ფორმულა, რომელიც გამოსახულია ოთხი ჰარმონიული და ერთი მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით. მიღებული წარმოდგენა საშუალებას იძლევა, როგორც გადაადგილების ვექტორი ასევე ძაბვის ვექტორი წარმოდგენილი იქნას ფურიელაპლასის მწკრივად ერთსა და იმავე ორთონორმირებულ ვექტორთა სრულ სისტემაში, რაც ამარტივებს სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილებას. ამოცანების ამონახსნები წარმოდგენილი არიან აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით, რაც მეტად ალგორითმულია რიცხვითი შედეგების მისაღებად.

დისერტაციაში შესწავლილია ორკომპონენტიან დრეკად ნარევთა თეორიის, ასევე ორტემპერატურიან დრეკდ ნარევთა თეორიის სტსტიკის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ნახევარ სივრცისათვის. მიგნებულია ამოცანების ამოხსნის მარტივი გზა, რომელიც დაკავშირებულია ჰარმონიული ფუნქციებისათვის დირიხლესა და ნეიმანის ამოცანების ამოხსნებთან ნახევარ სივრცის შემთხვევაში. ამოცანის ამოხსნები მიღებულია კვადრატურებში სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციების საშუალებით.

ნაშრომში შესწავლილია ასევე სასაზღვრო ამოცანები მთელი სივრცისათვის ორი ურთიერთ არაგადამკვეთი ბირთვული ღრუთი, ასევე ნახევარ სივრცის ამოცანა ბირთვული ღრუთი. ორივე ამოცანის შესწავლა დაიყვანება წრფივ ალგებრულ განტოლებათა უსასრულო სისტემის გამოკვლევაზე. ნაჩვენებია, რომ ეს სისტემები არიან კვაზირეგულარულნი. ამოცანების ამოხსნები მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

SUMMARY

David Metreveli's dissertation work “The Solution of Laundry conditions of Elasticity and thermoelasticity theory, in the case of specific areas”, is dedicated to the Mathematical Physics, in particular to the study of the tasks of three-dimensional boundary and boundary-contact of elasticity and thermoelasticity theory statistics. They are designed for flexible two-component mixtures which consist of elastic bodies.

In modern technological processes complex structural flexible composite materials are often used as well as composited structures of materially different physical properties.

In such composited materials and structures class belong to: the hemitropul elastic materials, the mixtures which are made of two or more flexible materials and etc. The practical examination of such materials mechanics naturally leads us to the necessity of creation of such mathematical model, which gives us the opportunity to describe the current real processes more accurately at the experiment period. In order to set the appropriate mechanical thermal and other physical properties, naturally the creation of such models, also their researches and analysis have great theoretical and practical importance. For elastic mixture (hard body – with hard body) the first mathematical model – so called Diffusion Model- was constructed by A. Agarin and T. Stil in 1966. On the same year they had also constructed Diffusion Model of the theory of elastic mixtures thermoelasticity of the one temperature. The mathematical model of the two temperature elastic mixtures thermoelasticity linear theory for the composites of granular fiber and layered structures was constructed by L. Khoroshurin and N.Soltanov in 1984. It must be mentioned that according the different temperature fields, the mathematical models for the compositive materials are distinguished of it's complex structure. Using mathematical methods their examination needs the hard work. That is why we think that the obtained results in this direction are the most actual according it's scientific value and practical usage.

The main aim of the dissertation work is the following: the study of not classical three-dimensional boundary and contact problems, of the theory statistics of two component elastic mixtures and two temperature elastic mixtures (when the mix consisting private movies are equal) in the case of concrete areas. In particular this is for the core of the whole space with nuclear hole, for the whole space with not inter crossing nuclear hole and for half space. Using Grin's formulas it is explored the sameness theories for all the problems.

While analyzing the issue of the sameness in the case of the solving problems of the statistics theory of two temperature elastic mixtures the most important result of the dissertation work is the following: in external tasks case the existence of sufficient conditions in infinity area of established structural and asymptotic limits, which provide the sameness of searched solution.

In dissertation work it is used the Furie's method, which is one of the general methods of the three-dimensional problems of elastic and thermoelasticity theory. That is based on the following: on the solution of the given main differential equation, against the defined curved coordinate system, with variables separation. While studying boundary problems using this method the the whole difficulty is moved to the satisfaction of board conditions. The dissertation has obtained the general submission formula of the solution the differential equations system of the statistic theory of two temperature elastic mixtures (when the private movies are equal). They are featured through four harmonic and one metaharmonic functions. The obtained submission gives us the opportunity for both the displacement vector and the stress vector to be represented in one and the same orthonormal vector full system of vector in Furie's laplace rows. The above mentioned simplifies the satisfaction of boundary conditions. The solutions of the problem are represented in the forms of absolutely equally converging rows. That is most algoritmical to receive numerical results.
The Dissertation work obtains the theory of two component elastic mixtures, also not classical boundary solutions theory statistics of two temperature elastic mixtures for half space. There is found the simple way of the solution of the problem. This is related to the Direkhle's and Neiman's solutions of the problems in the case of half space. Through boundary vector functions we obtained the solutions of the problems in Squares.
In the thesis we also obtained the board problems for the the whole space with two not crossing nuclear hollow and the problem of half space with nuclear hollow. The both problem studying are reduced to the infinite system research of linear algebraic equations. It is shown that these systems are kvazregular. The solutions of the problems are obtained absolutely in equally converging rows.

შინაარსი

შესავალი

დრეკადობის კლასიკური თეორია არის მექანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის უძრავ ან მოძრავ მდგომარეობაში მყოფ დრეკად სხეულზე გარე ძალების მოქმედების შედეგად გამოწვეულ გადაადგილებებს, დეფორმაციებს და ძაბვებს. მყარი დეფორმადი სხეულების მექანიკაში ამ თეორიას საპატიო ადგილი უკავია.

დრეკადობის თეორია, როგორც მყარი დეფორმადი სხეულების მექანიკის დამოუკიდებელი ნაწილი შეიქმნა ისეთი მეცნიერების ძალისხმევით, როგორებიც იყვნენ კოში, პუასონი, ლაგრანჟი, სენ-ვენანი, კირხოფი, ბეტი და სხვა. 1852 წელს ლამემ შექმნა დრეკადობის თეორიის პირველი სახელმძღვანელო, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ამ დარგში დღესაც ითვლება კლასიკურ სახელმძღვანელოდ. დრეკადობის თეორიამ, რომელიც ვითარდებოდა მეცნიერების მიერ, მეოცე საუკუნის 20-30 წლებამდე შეინარჩუნა თავისი კლასიკური ფორმა. ამ წლებში შეიქმნა მყარი დეფორმადი სხეულების მექანიკის ახალი მიმართულებები: პლასტიკურობის თეორია, თერმოდრეკადობა, დრეკადობის მომენტური თეორია და სხვა.

რამდენადაც სხვადასხვა სახის საინჟინრო კონსტრუქციები მუშაობენ საკმარისად მაღალ ტემპერატურებზე, მკვლევართა მთელი ყურადღება გადატანილი იქნა ტემპერატურული დაძაბულობის თეორიის შესწავლაზე. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ახალი დარგი - თერმოდრეკადობა, რომელიც წარმოადგენს კლასიკური დრეკადობის თეორიის და სითბოგამტარობის თეორიის სინთეზს, ენერგეტიკული დანადგარების, ბირთვული რეაქტორების, თვითმფრინავმშენებლობისა და რაკეტმშენებლობის ტექნიკის განვითარების სწრაფმა ტემპმა განაპირობა თერმოდრეკადობის თეორიის მძაფრი ზრდა.

კლასიკური დრეკადობის თეორიის მათემატიკური მოდელი არ ითვალისწინებს ტემპერატურულ ცვლილებებს, მაგრამ სხეულის დეფორმაციას თან სდევს ტემპერატურის ცვლილება, ხოლო ტემპერატურის ცვლილებას, მაშინაც კი, როცა სხეულზე არ მოქმედებს გარე ძალები, თან სდევს მისი

დეფორმაცია. ტემპერატურული ველისა და დეფორმაციის ველის სხვადასხვა პირობის გათვალისწინებით ვღებულობთ დრეკადობის თეორიის სხვადასხვა მოდელს: თერმოდრეკადობის არაბმული თეორია, თერმოდრეკადობის ბმული თეორია, განზოგადებული თერმოდრეკადობა და სხვა.

უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ინტენსიურად დაიწყო გამოკვლევები ტემპერატურულ ძაბვათა თეორიასთან შედარებით უფრო ზოგადბმულ თერმოდრეკადობის თეორიაში, სადაც გათვალისწინებულია დეფორმაციისა და ტემპერატურული ველების ურთიერთქმედება. არსებობს კლასიკური თერმოდრეკადობის თეორიის ორი სხვადასხვა განზოგადება: გრინ-ლინდსეის და ლორდ- შულმანის. ამასთან პირველს ტემპერატურული პროცესისათვის შემოაქვს რელაქსაციის ორი კოეფიციენტი, ხოლო მეორეს კი - ერთი. რელაქსაციის მუდმივობის შემოტანა საგრძნობლად ართულებს ძირითად დეფრენციალურ განტოლებათა სისტემებს, რის გამოც საკმარისად რთულდება განტოლებათა ამოცანების შესწავლა. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს თ. ბურჭულაძის. ლ. გიორგაშვილის, კ. დაფერმოსის, ლ. იენტჩის, დ. ნატროშვილის, ვ. ნოვაცკის, ი. პოდსტრიგაჩის და სხვათა შრომები.

თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებში ფართოდ გამოიყენება რთული სტრუქტურის დრეკადი კომპოზიტური მასალები და არსებითად განსხვავებული ფიზიკური თვისებების მქონე მასალებისგან შედგენილი კონსტრუქციები. ასეთი კომპოზიტური მასალებისა და კონსტრუქციების კლასს მიეკუთვნება ჰემიტროპული დრეკადი მასალები, ორი ან რამოდენიმე დრეკადი მასალისგან დამზადებული მასალები და სხვა. ასეთი მასალების მექანიკის პრაქტიკული ამოცანების გამოკვლევას ბუნებრივად მივყავართ ისეთი მათემატიკური მოდელის შექმნის აუცილებლობამდე, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად აღვწეროთ ექსპერიმენტის დროს მიმდინარე რეალური პროცესები. ბუნებრივია ასეთი მოდელების შედგენას, გამოკვლევას და გაანალიზებას შესაბამისი მექანიკური, თერმული და სხვა ფიზიკური თვისებების დადგენის მიზნით თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ფრიად დიდი

თეორიული ინტერესის საგანს წარმოადგენს შესაბამისი მათემატიკური ამოცანების კორექტულობის (ამონახსნთა არსებობის, სიგლუვის, ერთადერთობისა და მდგრადობის) შესწავლა და ადექვატური გამოთვლი-თი ალგორითმების შექმნა პრაქტიკული გამოყენების მიზნით. ასეთი ტიპის მასალებისთვის მათემატიკური მოდელების აგება სათავეს იღებს გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან, კ. ტრუსდელმა და რ. ტუპინმა თავიანთ შრომებში პირველად ჩამოაყალიბეს რთული შინაგანი სტრუქტურის მქონე დრეკადი სხეულებისთვის ახალი მოდელის ძირითადი მექანიკური პრინციპები და საფუძველი ჩაუყარეს დრეკადი სხეულების ნარევთა კონტი-ნუალურ თეორიას. შემდგომში ეს თეორია განზოგადდა და განვითარდა სხვადასხვა მიმართულებით. კინემატიკური და თერმოდინამიკური პრინცი-პების საფუძველზე შეიქმნა შემდეგი ტიპის ორკომპონენტიან ნარევთა თეორია: სითხე - სითხე, სითხე-მყარი სხეული, მყარი სხეული- მყარი სხეული.

დრეკადი ნარევისათვის (მყარი სხეული - მყარ სხეულთან) პირველი მათემატიკური მოდელი, ე.წ. დიფუზიური მოდელი, ააგეს ა. გრინმა და ტ. სტილმა 1966 წელს. ამ მოდელში კომპონენტებს შორის ურთიერთქმედების ძალა დამოკიდებულია კერძო გადაადგილებების სიჩქარეთა სხვაობაზე. იმავე წელს მათ მიერ აგებულია დრეკად ნარევთა თერმოდრეკადობის ერთტემპერატურიანი თეორიის დიფუზიური მოდელი.

მე-20 საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიეძღვნა დრე-კად ნარევთა ფიზიკური და მექანიკური თვისებების, ტემპერატურული ველებისა და დაძაბული მდგომარეობის შესწავლას. ამ გამოკვლევათა შედე-გებმა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა გათვლებში არაერთგვაროვანი მასალე-ბის კონსტრუქციების მდგრადობაზე, მათი დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმის შემუშავებაში, აგრეთვე ახალი კომპოზიტური მასალების და ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევაში.

კომპოზიტური მასალებისგან დამზადებული კონსტრუქციის ელემენტებში, მათი არათანაბარი გაცხელების პირობებში წარმოშობილი თერმოდრეკადი დაძაბულობის შესწავლა დაკავშირებულია ისეთი მათემატიკური მოდელის შესწავლასთან, რომელიც აღწერს კომპოზიტის სითბოგამტარებლობას და მექანიკურ ყოფაქცევას მიკრომოცულობაში. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ კომპოზიტური მასალების კომპონენტების მექანიკურ თვისებებს შორის განსხვავებები იწვევს მათი ტემპერატურების სხვადასხვაობას. ასეთი ეფექტის ტიპიური მაგალითია ელექტრო და რადიომოწყობილობებში ფართოდ გავრცელებულ მაგნიტოდიელექტრიკებში ტემპერატურული ველი. აქედან გამომდინარე გაჩნდა აუცილებლობა ასეთი ტიპის კომპოზიტური მასალებისთვის აგებულიყო ისეთი მათემატიკური მოდელი, რომელიც აღწერს ორტემპერატურიან ველს და მათ მიერ გამოწვეულ თერმოდრეკად ძაბვებს.

ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თერმოდრეკადობის წრფივი თეორიის მათემატიკური მოდელი მარცვლოვანი, ბოჭკოვანი და ფენოვანი სტრუქტურების მქონე კომპოზიტებისათვის 1984 წელს აგებულ იქნა ლ. ხოროშუნისა და ნ. სოლტანოვის მიერ.

ჩვეულებრივ, სხეულში მიმდინარე პროცესების შესწავლა მიიყვანება შესაბამისი მათემატიკური მოდელისათვის, რომელიც კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით აღიწერება, სასაზღვრო, შერეული ტიპის და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების გამოკვლევაზე.

თეორიული თვალსაზრისით დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს აგრეთვე შესაბამისი მათემატიკური ამოცანების (ამოხსნათა არსებობის, სიგლუვის, ერთადერთობისა და მდგრადობის) გამოკვლევა და ადექვატური გამოთვლითი ალგორითმების შექმნა პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ორკომპონენტიან დრეკად ნარევთა ორტემპერატურიანი წრფივი თეორიის სამგანზომილებიანი და ბრტყელი სასაზღვრო, შერეული და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. არ არის შესწავლილი იგივე ამოცანები ბზარის

ტიპის დეფექტების შემცველი სხეულებისათვის. ამ უკანასკნელებში განსაკუთრებით საინტერესოა დადგენილი იქნეს ბზარის ბოლოების მახლობლობაში ძაბვების კონცენტრაციის ზონები და შესაბამისი სინგულარობის მაჩვენებელი. სინგულარული ძაბვების წარმოშობა მოსალოდნელია აგრეთვე შერეული ამოცანების შემთხვევაშიც იმ წერტილების მიდამოში, სადაც იცვლება სასაზღვრო პირობების ტიპი. ეს სინგულარობები ხშირად დამოკიდებულია დრეკად და სხვა ფიზიკურ პარამეტრებზე და მათი ეფექტურად გამოსათვლელი ფორმულების მიღება მეტად მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ტექნოლოგიური და ინდუსტრიული განვითარების თნამედროვე დონემ, აგრეთვე ბიოლოგიაში და მედიცინაში მიღწეულმა პროგრესმა, არსებითად განაპირობა რთული მიკროსტრუქტურის მქონე, როგორც უწყვეტ ტანთა მექანიკაში დრეკადი კომპოზიტების, ასევე ჰიდროდინამიკაში ბლანტი სითხეების დაზუსტებული მათემატიკური მოდელების შესწავლა. ამ მოდელებით აღიწერება რთული შინაგანი ბმის კომპოზიტური სხეულები, რომელთა მიკროსტრუქტურა ისეთია, რომ თითოეულ მატერიალურ ნაწილაკს გააჩნია მექანიკური თავისუფლების ექვსი ხარისხი, სამი გადაადგილების კომპონენტი (მყარი სხეულის შემთხვევაში) ან სამი სიჩქარის კომპონენტი (სითხის შემთხვევაში) და მათგან დამოუკიდებული სამი მიკრობრუნვის კომპონენტი. ასეთ სხეულებს (სითხეებს) მიკროპოლარულ სხეულებს (სითხეებს) უწოდებენ. შევნიშნოთ, რომ ბლანტ არაკუმშვად სითხეთა კლასიკური თეორია უშვებს თავისუფლების სამ ხარისხს, სიჩქარის ვექტორის სამი კომპონენტი. ორკომპონენტიან დრეკად ნარევთა ორტემპერატურიანი თეორია უშვებს თავისუფლების რვა ხარისხს, კერძო გადაადგილებების ვექტორების ექვს და ტემპერატურის ორ კომპონენტს.

როგორც ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაადასტურა მიკროპოლარულ სხეულებს არსებითად განსხვავებული მექანიკური თვისებები აღმოაჩნდათ. უწყვეტ ტანთა მექანიკის არაცენტრულად სიმეტრიულ მიკროპოლარულ სხეულებში, რომელთაც ჰემიტროპულ სხეულებს უწოდებენ,

შესაძლებელია მარცხენა და მარჯვენა მოგეზულობის დრეკადი ტალღების ერთდროულად გავრცელება. გარდა ამისა, ღერძული გაჭიმვა იწვევს გრეხვის ეფექტს, რაც არ გვხვდება კლასიკურ თეორიაში. აღმოჩნდა, რომ ჰემიტროპული თვისებები შეიძლება გამომჟღავნდეს, როგორც მიკრო-ატომურ - მოლეკულურ დონეზე ასევე მაკრო დონეზე (სპირალური, შრუპის ანუ სჭვალის, ბოჭკოვანი და თხელი მემბრანული ტიპის ჩართვების შემცველი კომპოზიტები, ნანო მასალების და სხვა).

უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტური მასალებისათვის მათემატიკური მოდელები სხვადასხვა ტემპერატურული ველების გათვალისწინებით გამოირჩევიან თავიანთი რთული სტრუქტურით და მათი გამოკვლევა თანამედრომე მძლავრი მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მოითხოვს დიდ ძალისხმევას. ამდენად მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით მიღებული შედეგები თავიანთი მეცნიერული ღირებულებებითა და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ფრიად აქტუალური იქნება.

საზოგადოდ სამგანზომილებიანი ამოცანების ამოხსნა საკმარისად რთულია. ზუსტი ანალიზური ამონახსნები მიიღება ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევებში. მაგალითად, თუ ვიხილავთ ამოცანას სპეციალური კონფიგურაციის მქონე სხეულებისათვის - ნახევარსივრცე, ბირთვი, ზოგიერთი ბრუნვითი სხეულებისთვის და სხვა. არსებობს დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა მეთოდი: ფუნქციონალური ანალიზის მეთოდი, ვარიაციული მეთოდი, პოტენციალთა მეთოდი და სხვა.

ვარიაციული და ფუნქციონალური ანალიზის მეთოდი გამოირჩევა დიდი ზოგადობით, რომელიც მოიცავს იმ შემთხვევასაც, როცა წონასწორობის განტოლებებში შემავალი კოეფიციენტები ცვალებადია და სასაზღვრო ზედაპირები საკმარისად რთული კონფიგურაციისაა. ამ მეთოდით სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა საკმარისი სიზუსტით გადმოცემულია გ. ფიკერას, კ. დაფერმოსის და სხვათა შრომებში.

მიუხედავად იმისა, რომ პოტენციალთა და მრავალ განზომილებიანი სიგნგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი, რომელიც წარმოადგენს ჰარმონიულ პოტენციალთა და ფრედჰოლმის ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის იდეის უშუალო განზოგადებას, ჩამორჩება პირველ მიმართულებას ზოგადობაში, მაინც ითვლება ერთ-ერთ ძლიერ მეთოდად, რომლის საშუალებითაც შეისწავლება დრეკადობის თეორიის და თერმოდრეკადობის თეორიის მნიშვნელოვანი სასაზღვრო ამოცანები. ამ ამოცანების ამოხსნის ერთადერთობისა და არსებობის თეორემები გადმოცემულია შემდეგ ავტორთა მონოგრაფიებში: ვ. კუპრაძე, თ. გეგელია, მ. ბაშელეიშვილი და თ. ბურჭულაძე - „დრეკადიბისა და თერმოდრეკადობის სამგანზომილებიანი ამოცანები" , ვ. ნოვაცკის - „დრეკადობის თეორია ", ა. ლურიე - „დრეკადობის თეორია", ასევე თ. ბურჭულაძის, თ. გეგელიას მ. ბაშელეიშვილის, ლ. გიორგაშვილის, შ. ზაზაშვილის, დ. ნატროშვილის, ო. ჭკადუას, რ. გაჩეჩილაძის და სხვათა ნაშრომებში.

დრეკადობის და თერმოდრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანების ამოხსნის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია ფურიეს მეთოდი, რომელიც ეფუძნება მოცემული ძირითადი დიფერენციალური განტოლების ამოხსნას ცვლადთა განცალების მეთოდით გარკვეულ მრუდწირულ კორდინატთა სისტემის მიმართ. დრეკადობისა და თერმოდრეკადობის სტატიკისა და სტაციონარული რხევის შესაბამისი ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემების ამოხსნები წარმოიდგინებიან ჰარმონიული, ბიჰარმონიული (სტატიკის შემთხვევაში) და მეტაჰარმონიული (რხევის შემთხვევაში) ფუნქციების საშუალებით. ამ მიმართულებით დრეკადობის კლასიკურ თეორიაში საყოველთაოდაა ცნობილი უ. კელვინის, ჟ.ადამარის, ჟ. ბუსინესკის, მ. პაპკოვიჩის, გ. ნეიბერის, ე. ტრეფტცის, მ. სლობოდიანსკის, კოლოსოვ - მუსხელიშვილის და სხვათა შრომები, რომლებშიც გადაადგილების ვექტორი წარმოდგენილია ჰარმონიული და ბიჰარმონიული ფუნქიებით. აღნიშნული წარმოდგენები საშუალებას იძლევა განვავითა-

როთ ცვლადთა განცალების მეთოდი (გარკვეულ მრუდწირულ კორდინატთა სისტემის მიმართ) დრეკადობის თეორიაში კანონიკური ზედაპირებით შემოსაზღვრული არეების შემთხვევაში. ამ მეთოდით სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის მთელი სირთულე გადატანილია სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილებაში. სასაზღვრო პირობების დაკმაყოპილების ერთ-ერთი მიდგომა მოცემულია ა. ულიტკოს, პ. მორსის და ჰ. ფეშბახის, მ. ბაშელეიშვილის ლ. გიორგაშვილის, დ. ნატროშვილის და სხვათა შრომებში.

როცა არის საზღვარს სიბრტყეები წარმოადგენს, მაშინ ასეთი არეებისათვის სასაზღვრო ამოცანების ეფექტური ამოხსნები მიიღება სიმეტრიის პრინციპის გამოყენებით, რომელიც დრეკადობის თეორიაში პირველად დაამტკიცა ე. ობოლაშვილმა. ვ. კუპრაძისა და თ. ბურჭულაძის მიერ შესწავლილია თერმოდრეკადობის სასაზღვრო ამოცანები $\pi/2^n$ ($n \geq 0$ - მთელი რიცხვია) ხაზოვანი კუთხის შემცველი ორწახნაგა კუთხეებისათვის. ამოხსნები მიღებულია კვადრატურებში.

ზემოთ აღნიშნული პაპკოვიჩ-ნეიბერის, ბუსინესკის, სლობოდიანსკის წარმოდგენები საშუალებას იძლევიან ამოვხსნათ სასაზღვრო ამოცანები ისეთი არეებისათვის, რომლებიც შემოსაზღვრულნი არიან სიბრტყეებით. ტრეფტცის წარმოდგენა მოსახერხებელია სფერული ზედაპირებით შემოსაზღვრული არეებისათვის სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების შესასწავლად, თუმცა სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილების ალგორითმი საკმარისად რთულია. 1980 წელს პრფესორ ლ. გიორგაშვილმა მიიღო ლამეს დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნის ისეთი წარმოდგენა, რომელიც საშუალებას იძლევა, როგორც გადაადგილების ვექტორი, ასევე ძაბვის ვექტორი წარმოდგენილი იქნას ფურიე-ლაპლასის მწკრივად, ერთი და იმავე ორთონორმირებულ ვექტორთა სრულ სისტემაში. ასეთ შემთხვევაში სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების შესწავლა დაიყვანა წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის გამოკვლევაზე. თუ სასაზღვრო პირობებზე მოვითხოვთ სიგლუვის გარკვეულ საკმარის პირობებს, მაშინ სასაზღვრო ამოცანების ამონახსნები მიიღება

აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი ფურიე-ლაპლასის მწკრივების სახით. სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები სტაციონარული რხევის შემთხვევაში შეისწავლება ანალოგიურად სტატიკის ამოცანებისა. ამ ამოცანების ამოხსნის ერთადერთობის თეორემების შესწავლა ხდება გრინის ფორმულების გამოყენებით. შევნიშროთ, რომ როცა ვიხილავთ ერთადერთობის თეორემებს გარე ამოცანებისათვის, საჭიროა სტატიკის შემთხვევაში გადაადგილების ვექტორს და მის პირველი რიგის წარმოებულებს უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში მოვთხოვოთ ქრობის გარკვეული პირობები, ხოლო სტაციონარული რხევის შემთხვევაში კი გადაადგილების ვექტორი უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში უნდა აკმაყოფილებდეს ეგრეთწოდებულ ზომერფელდ-კუპრაძის გამოსხივების პირობას, 1997 წელს ლ.გიორგაშვილმა (იხ. Georgian Math. J.,4 , N5 (1997), 421 -438) ზომერფელდ-კუპრაძის გამოსხივების პირობების გარეშე დაამტკიცა თერმოდრეკადობის თეორიის სტაციონარული რხევის სასაზღვრო ამოცანების ერთადერთობის თეორემები გარე არისათვის.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და ლიტერატურის ჩამონათვალისაგან.

შესავალში გადმოცემულია დრეკადობის კლასიკური თეორიიდან დრეკად ნარევთა თეორიამდე განვითარების მოკლე ისტორიული ფაქტები. საუბარია სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის ფურიეს მეთოდზე და მის უპირატესობაზე სხვადასხვა კანონიკური ზედაპირებით შემოსაზღვრული არეების შემთხვევაში.

პირველ თავში მოყვანილია ზოგიერთი დამხმარე თეორემა და ფორმულა. კერძოდ მოყვანილია, თუ რა სახე აქვს ორ კომპონენტიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვან სისტემას, ასევე ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვან სისიტემას, როდესაც ნარევში მონაწილე დრეკადი სხეულების კერძო გადაადგილება ერთმანეთის

ტოლია. ამავე თავში მიღებულია ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის ერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნის ზოგადი წარმოდგენის ფორმულა, რომელიც გამოსახულია ოთხი ჰარმონიული და ერთი მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით.

მეორე თავში, პირველ თავში მიღებული ზოგადი ამოხსნის წარმოდგენის ფორმულის საშუალებით, ამოხსნილია ორტემპერატურიანი დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვანი სისტემისათვის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ბირთვისათვის და უსასრულო სივრცისათვის ბირთვული ღრუთი. კერძოდ შესწავლილია შემდეგი ამოცანები:

1) როდესაც საზღვარზე მოცემულია გადაადგილების ვექტორის ნორმალური მდგენელის, ძაბვის ვექტორის მხები მდგენელის და ტემპერატურული ცვლილების ან ტემპერატურული ნაკადების ზღვრული მნიშვნელობები.
2) როდესაც საზღვარზე მოცემულია ძაბვის ვექტორის ნორმალური მდგენელის, გადაადგილების ვექტორის მხები მდგენელის და ტემპერატურული ცვლილების ან ტემპერატურული ნაკადების ზღვრული მნიშვნელობები.
3) როდესაც საზღვარზე მოცემულია გადაადგილების ვექტორის ნორმალური მდგენელის, ბრუნვის ვექტორის მხები მდგენელის და ტემპერატურული ცვლილების ან ტემპერატურული ნაკადების ზღვრული მნიშვნელობები. დამტკიცებულია ამ ამოცანების ამოხსნის ერთადერთობის თეორემები. ამოცანების ამოხსნები მიღებულია ფურიე-ლაპლასის მწკრივების სახით. შესწავლილია ამ მწკრივების კრებადობის საკითხი.

მესამე თავში შესაწავლილია ორკომპონენტიანი დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის სასაზღვრო ამოცანები ნახევარსივრცისათვის, როდესაც ნახევარსივრცის საზღვარზე მოცემულია:

1) კერძო გადაადგილებების ნორმალური მდგენელებისა და ძაბვის ვექტორების მხები მდგენელების ზღვრული მნიშვნელობები.
2) კერძო ძაბვების ნორმალრი მდგენელებისა და კერძო გადაადგილებების მხები მდგენელების ზღვრული მნიშვნელობები.

3) კერძო გადაადგილებების ნორმალური მდგენელებისა და ბრუნვის ვექ-ტორის მხები მდგენელების ზღვრული მნიშვნელობები. ასევე შესწავლილია ორტემპერატურიანი დრეკად ნარევთა თეორიის (როდესაც კერძო გადაად-გილებები ერთმანეთის ტოლია) სტატიკის სასაზღვრო ამოცანები, როდესაც ნახევარსივრცის საზღვარზე მოცემულია გადაადგილების ნორმალური მდგენელის, ბრუნვის ვექტორის მხები მდგენელის და ტემპერატურული ცვლილებებისა ან ტემპერატურული ნაკადების ზღვრული მნიშვნელობები. გამოყენებულია ამ ამოცანების ამოხსნის ახალი მეთოდი, რომელიც დაკავში-რებულია ჰარმონიული ფუნქციებისათვის ნახევარსივრცის შემთხვევაში დირიხლესა და ნეიმანის ამოცანების ამოხსნასთან. ამ თავში შესწავლილი ამოცანების ამოხსნები მიღებულია კვადრატურებში სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციების საშუალებით.

მეოთხე თავში შესწავლილია ორტემპერატურიანი დრეკად ნარევთა თეორიის (როდესაც კერძო გადაადგილებები ერთმანეთის ტოლია) სტატი-კის სასაზღვრო ამოცანები მთელი სივრცისათვის ორი ურთიერთ არაგადამკ-ვეთი ბირთვული ღრუთი, როდესაც სფერულ ზედაპირებზე მოცემულია გადაადგილების ვექტორის ნორმალური მდგენელის, ძაბვის ვექტორის მხები მდგენელისა და ტემპერატურული ცვლილებების ან სითბური ნაკადების ზღვრული მნიშვნელობები. ამ თავში შესწავლილია ასევე ნახევარ-სივრცის სასაზღვრო ამოცანები ბირთვული ღრუთი, როცა ნახევარ-სივრცისა და ბირთვის საზღვარზე მოცემულია ძაბვის ვექტორის ნორმალური მდგენელის, გადაადგილების ვექტორის მხები მდგენელისა და ტემპერატურული ცვლილებების ან სითბური ნაკადების ზღვრული მნიშვ-ნელობები. ამ ამოცანების ამოხსნები დაიყვანება წრფივ ალგებრულ განტო-ლებათა უსასრულო სისტემის გამოკვლევაზე. ნაჩვენებია, რომ ეს უსასრულო სისტემები არიან კვაზი რეგულარულნი. ამოცანების ამოხსნები მიღებუ-ლია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

თავი I. ძირითდი განტოლებები და მათი ამონახსნების წარმოდგენები

§1. ზოგიერთი აღნიშვნა და ტერმინი

აღვნიშნოთ $\mathbb{R}^n$ სიმბოლოთი ევკლიდეს n- განზომილებიანი სივრცე. ვთქვათ $\Omega \subset \mathbb{R}^n$, $\partial\Omega$-თი ავღნიშნოთ Ω არის საზღვარი, $\overline{\Omega}$-თი კი Ω არის ჩაკეტვა, ე.ი. $\overline{\Omega} = \Omega \bigcup \partial\Omega$.

განსაზღვრება 1.1. ნამდვილ, უწყვეტ ფუნქციათა სიმრავლე Ω არეში აღვნიშნოთ $C(\Omega)$- თი. $C^k(\Omega)$-თი, სადაც k მთელი დადებით რიცხვია, ავღნიშნოთ Ω არეზე განსაზღვრულ იმ ნამდვილ ფუნქციათა სიმრავლე რომლებსაც ამ არეში გააჩნიათ უწყვეტი წარმოებული k - რიგამდე ჩათვლით.

განსაზღვრება 1.2. ვიტყვით, რომ $\Psi(x)$ ფუნქცია უწყვეტად გაგრძელე-ბადია საზღვრის $y \in \partial\Omega$ წერტილში, თუ არსებობს სასრული ზღვარი $\lim\limits_{\Omega \ni x \to y} \psi(x)$.

განსაზღვრება 1.3. $C^k(\overline{\Omega})$სიმბოლოთი ავღნიშნოთ სიმრავლე $C^k(\Omega)$ კლასის იმ ფუნქციებისა, რომელთა ყველა კერძო წარმოებულები k - რიგამდე ჩათვლით უწყვეტად გაგრძელებადია $\partial\Omega$ საზღვრის ყოველ წერტილში.

განსაზღვრება 1.4. ვთქვათ $\Psi(x)$ არის ვექტორი ან მატრიცა, რომელიც განსაზღვრულია Ω არეში. მაშინ $\psi \in C^k(\Omega)\left[\psi \in C^k(\overline{\Omega})\right]$ ნიშნავს, რომ მისი ყოველი კომპონენტი ეკუთვნის $C^k(\Omega)$ $[C^k(\Omega)]$ კლასს. აღვნიშნოთ Ω^+-ით $\mathbb{R}^n$ სივრცის სასრული არე, რომელიც შემოსაზღვრულია $\partial\Omega$ ზედაპირით, ხოლო Ω^- -ით კი $\overline{\Omega}^+$ არის დამატება $\mathbb{R}^n$ სივრცემდე, ე.ი. $\Omega^-=\mathbb{R}^n \setminus \overline{\Omega}^+$.

განსაზღვრება 1.5. ვთქვათ Ω^+ (Ω^-) არეში განსაზღვრული $\psi(x)$ ფუნქცია უწყვეტად გაგრძელებადია $z \in \partial\Omega$ წერტილში. მაშინ $\{\psi(z)\}^+$ $\left(\{\psi(z)\}^-\right)$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ შემდეგი ზღვარი

$$\{\psi(z)\}^+ = \lim_{\Omega^+ \ni x \to z} \psi(x) \qquad \left(\{\psi(z)\}^- = \lim_{\Omega^- \ni x \to z} \psi(x)\right).$$

§2. ძირითადი განტოლებები

სამგანზომილებიან ორკომპონენტიან დრეკად ნარევთა წრფივი თეორიის სტატიკის ერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებათა სის-ტემას აქვს სახე [26]

$$a_1\Delta u' + b_1 graddivu' + c\Delta u'' + dgraddivu'' = 0\,, \tag{1}$$

$$c\Delta u' + dgraddivu' + a_2\Delta u'' + b_2 graddivu'' = 0, \tag{2}$$

სადაც $u' = (u_1', u_2', u_3')^{\mathrm{T}}$, $u'' = (u_1'', u_2'', u_3'')^{\mathrm{T}}$ კერძო გადაადგილების ვექტორებია, Δ ლაპლასის სამგანზომილებიანი ოპერატორია, T ტრანსპონირების სიმბოლოა

$$a_1 = \mu_1 - \lambda_5, \quad b_1 = \mu_1 + \lambda_5 + \lambda_1 - \frac{\rho_2}{\rho}\alpha', \quad a_2 = \mu_2 - \lambda_5,$$

$$b_2 = \mu_2 + \lambda_5 + \lambda_2 + \frac{\rho_1}{\rho}\alpha', \qquad c = \mu_3 + \lambda_5, \quad \alpha' = \lambda_3 - \lambda_5,$$

$$d = \mu_3 + \lambda_3 - \lambda_5 - \frac{\rho_1}{\rho}\alpha', \qquad \rho = \rho_1 + \rho_2,$$

ρ_1, ρ_2 დრეკად ნარევის კერძო სიმკვრივეებია, $\lambda_1, \lambda_2, \ldots, \lambda_5$, μ_1, μ_2, μ_3 ნარევის დრეკადი მუდმივებია, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ უტოლობებს [26]

$$\mu_1 > 0, \qquad \mu_1 \mu_2 - \mu_3^2 > 0, \quad \lambda_5 < 0, \quad \lambda_1 + \frac{2}{3}\mu_1 - \frac{\rho_2}{\rho}\alpha' > 0\,,$$

$$\left(\lambda_1 + \frac{2}{3}\mu_1 - \frac{\rho_2}{\rho}\alpha'\right)\left(\lambda_2 + \frac{2}{3}\mu_2 + \frac{\rho_1}{\rho}\alpha'\right) > \left(\lambda_3 + \frac{2}{3}\mu_3 - \frac{\rho_1}{\rho}\alpha'\right)^2.$$

ამ უტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ [38]

$$d_1 := a_1 a_2 - c^2 > 0\,,\ d_2 := (a_1 + b_1)(a_2 + b_2) - (c + d)^2 > 0, \quad a_1 > 0\,,\ a_1 + b_1 > 0\,. \tag{3}$$

ძაბვის ვექტორს აქვს შემდეგი სახე [38]

$$\mathrm{T}(\partial, n)U = \left[\mathrm{P}^{(1)}(\partial, n)U, \mathrm{P}^{(2)}(\partial, n)U\right]^{\mathrm{T}}, \tag{4}$$

სადაც $U = (u', u'')^{\mathrm{T}}$,

$$\mathrm{P}^{(1)}(\partial, n)U = \mathrm{T}^{(1)}(\partial, n)u' + \mathrm{T}^{(2)}(\partial, n)u'',$$

$$\mathrm{P}^{(2)}(\partial, n)U = \mathrm{T}^{(3)}(\partial, n)u' + \mathrm{T}^{(4)}(\partial, n)u'',$$

$$\mathrm{T}^{(1)}(\partial, n)u' = 2\mu_1 \frac{\partial u'}{\partial n} + \left(\lambda_1 - \frac{\rho_2}{\rho}\alpha'\right) n divu' + (\mu_1 + \lambda_5)[n \times rotu'],$$

$$\mathrm{T}^{(2)}(\partial,n)u'' = 2\mu_3 \frac{\partial u''}{\partial n} + \left(\lambda_3 - \frac{\rho_1}{\rho}\alpha'\right) n\,div u'' + (\mu_3 - \lambda_5)[n \times rot u''],$$

$$\mathrm{T}^{(3)}(\partial,n)u' = 2\mu_3 \frac{\partial u'}{\partial n} + \left(\lambda_3 - \frac{\rho_1}{\rho}\alpha'\right) n\,div u' + (\mu_3 - \lambda_5)[n \times rot u'],$$

$$\mathrm{T}^{(4)}(\partial,n)u'' = 2\mu_2 \frac{\partial u''}{\partial n} + \left(\lambda_2 + \frac{\rho_1}{\rho}\alpha'\right) n\,div u'' + (\mu_2 + \lambda_5)[n \times rot u''],$$

$n = (n_1, n_2, n_3)^{\mathrm{T}}$ არის ერთეულოვანი ვექტორი, $[a \times b]$ სიმბოლო აღნიშნავს ორი ვექტორის ვექტორულ ნამრავლს $\mathbb{R}^3$-ში, $\frac{\partial}{\partial n} = \sum_{j=1}^{3} n_j \frac{\partial}{\partial x_j}$.

ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვან სისტემას, როცა ნარევში შემავალი ორი დრეკადი სხეულის კერძო გადაადგილებები ერთმანეთის ტოლია, აქვს შემდეგი სახე [27]

$$\mu \Delta u + (\lambda + \mu) grad div u - grad(\eta_1 \vartheta_1 + \eta_2 \vartheta_2) = 0; \tag{5}$$

$$\kappa_1 \Delta \vartheta_1 + \kappa_2 \Delta \vartheta_2 - \alpha(\vartheta_1 - \vartheta_2) = 0\,,$$

$$\kappa_2 \Delta \vartheta_1 + \kappa_3 \Delta \vartheta_2 + \alpha(\vartheta_1 - \vartheta_2) = 0\,, \tag{6}$$

სადაც Δ ლაპლასის სამგანზომილებიანი ოპერატორია, $u = (u_1, u_2, u_3)^{\mathrm{T}}$ არის კომპოზიტურ მასალაში შემავალი ორი მყარი სხეულის ერთმანეთის ტოლი გადაადგილების ვექტორი, ϑ_1, ϑ_2 მყარი სხეულების ტემპერატურების ცვლილებებია, $\alpha,\ \kappa_j\ , j = 1,2,3$ დადებითი ფიზიკური მუდმივებია, λ, μ დრეკადი მუდმივებია, η_1, η_2 თერმული პროცესების დამახასიათებელი მუდმივებია, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ უტოლობებს

$$\mu > 0,\quad 3\lambda + 2\mu > 0\,,\quad \kappa_1\kappa_3 - \kappa_2^2 > 0\,,\quad \eta_j > 0,\ j = 1,2\,. \tag{7}$$

ვთქვათ $U = (u, \vartheta_1, \vartheta_2)^{\mathrm{T}}$. ძაბვის ვექტორს, რომელსაც $\mathrm{P}(\partial,n)U$ სიმბოლოთი აღვნიშნავთ აქვს შემდეგი სახე [27]

$$\mathrm{P}(\partial,n)U = \mathrm{T}(\partial,n)u - n(\eta_1 \vartheta_1 + \eta_2 \vartheta_2), \tag{8}$$

სადაც n არის ერთეულოვანი ვექტორი, ხოლო

$$\mathrm{T}(\partial,n)u = 2\mu \frac{\partial u}{\partial n} + \lambda n\,div u + \mu[n \times rot u]\,.$$

§ 3 ზოგიერთი დამხმარე ფორმულა და თეორემა

ვთქვათ r,ϑ,φ $\left(0\le r<+\infty,\ 0\le\vartheta\le\pi,\ 0\le\varphi<2\pi\right)$ $x\in\mathbb{R}^3$ წერტილის სფერული კოორდინატებია. $\sum_1$ - ით აღვნიშნოთ $\mathbb{R}^3$ სივრცეში ერთეულ-რადიუსიანი სფერო ცენტრით კოორდინატთა სათავეში.

განვიხილოთ $L_2\left(\sum_1\right)$ სივრცეში ორთონორმირებულ ვექტორთა სრული სისტემა [8], [33]

$$\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)=e_r\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\qquad k\ge 0,$$

$$\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)=\frac{1}{\sqrt{k(k+1)}}\left(e_\vartheta\frac{\partial}{\partial\vartheta}+\frac{e_\varphi}{\sin\vartheta}\frac{\partial}{\partial\varphi}\right)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\quad k\ge 1,$$

$$\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)=\frac{1}{\sqrt{k(k+1)}}\left(\frac{e_\vartheta}{\sin\vartheta}\frac{\partial}{\partial\varphi}-e_\varphi\frac{\partial}{\partial\vartheta}\right)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\ \ k\ge 1, \tag{9}$$

სადაც $|m|\le k$, $e_r,e_\vartheta,e_\varphi$ ორთონორმირებული ვექტორებია: $\mathbb{R}^3$-ში,

$$e_r=(\cos\varphi\sin\vartheta,\sin\varphi\sin\vartheta,\cos\vartheta)^{\mathsf{T}},$$

$$e_\vartheta=(\cos\varphi\cos\vartheta,\sin\varphi\cos\vartheta,-\sin\vartheta)^{\mathsf{T}},$$

$$e_\varphi=(-\sin\varphi,\cos\varphi,0)^{\mathsf{T}},$$

$$\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)=\sqrt{\frac{2k+1}{4\pi}\cdot\frac{(k-m)!}{(k+m)!}}\mathrm{P}_k^{(m)}(\cos\vartheta)e^{im\varphi},$$

$\mathrm{P}_k^{(m)}(\cos\vartheta)$ ლეჟანდრის მიკავშირებული პოლინომია.

ვთქვათ $f=(f_1,f_2,f_3)^{\mathsf{T}}$ ვექტორ-ფუნქცია და f_4 ფუნქცია წარმოდგენილია შემდეგი ფურიე-ლაპლასის მწკრივების სახით.

$$f(\vartheta,\varphi)=\sum_{k=0}^{\infty}\ \sum_{m=-k}^{k}\left\{\alpha_{mk}\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)+\sqrt{k(k+1)}\left[\beta_{mk}\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+\gamma_{mk}Z_{mk}(\vartheta,\varphi)\right\}\right.,$$

$$f_4(\vartheta,\varphi)=\sum_{k=0}^{\infty}\ \sum_{m=-k}^{k}\delta_{mk}\,Y_k^{(m)}(\vartheta,\varphi), \tag{10}$$

სადაც $\alpha_{mk},\beta_{mk},\gamma_{mk},\delta_{mk}$ ფურიეს კოეფიციენტებია, რომლებიც გამოითვლებიან შემდეგი ფორმულებით.

$$\alpha_{mk}=\int_0^{2\pi}d\varphi\int_0^{\pi}f(\vartheta,\varphi)\cdot\overline{\mathrm{X}}_{mk}(\vartheta,\varphi)\sin\vartheta d\vartheta,\qquad k\ge 0,$$

$$\beta_{mk} = \frac{1}{\sqrt{k(k+1)}} \int_0^{2\pi} d\varphi \int_0^{\pi} f(\vartheta,\varphi) \cdot \overline{\mathrm{Y}}_{mk}(\vartheta,\varphi) \sin\vartheta d\vartheta, \qquad k \geq 1, \tag{11}$$

$$\gamma_{mk} = \frac{1}{\sqrt{k(k+1)}} \int_0^{2\pi} d\varphi \int_0^{\pi} f(\vartheta,\varphi) \cdot \overline{\mathrm{Z}}_{mk}(\vartheta,\varphi) \sin\vartheta d\vartheta, \quad k \geq 1,$$

$$\delta_{mk} = \int_0^{2\pi} d\varphi \int_0^{\pi} f_4(\vartheta,\varphi) \cdot \overline{\mathrm{Y}}_k^{(m)}(\vartheta,\varphi) \sin\vartheta d\vartheta, \quad k \geq 0.$$

აქ $\overline{\mathrm{X}}_{mk}, \overline{\mathrm{Y}}_{mk}, \overline{\mathrm{Z}}_{mk}$ ვექტორები და $\overline{\mathrm{Y}}_k^{(m)}$ ფუნქცია წარმოადგენენ შესაბამისად $\mathrm{X}_{mk}, \mathrm{Y}_{mk}, \mathrm{Z}_{mk}$ ვექტორებისა და $\mathrm{Y}_k^{(m)}$ ფუნქციის კომპლექსურად შეუღლებულ ვექტორ-ფუნქციებს. სიმბოლო $\alpha \cdot b$ აღნიშნავს ორი ვექტორის სკალარულ ნამრავლს $\mathbb{R}^3$-ში.

შევნიშნოთ, რომ (10) ფორმულაში და შემდგომში ანალოგიური მწკრი-ვების იმ შესაკრებებში, რომლებიც შეიცავენ $\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)$ და $Z_{mk}(\vartheta,\varphi)$ ვექტორებს, შეჯამების ინდექსი იცვლება 1-დან $+\infty$-მდე.

ჩამოვაყალიბოთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი თეორემა [8] , [32]

თეორემა 1.6. თუ $f_4(z) \in w_2^{(\ell)}(\sum_1),$, მაშინ δ_{mk} კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრულია (1.11) ფორმულით, უშვებს შემდეგ შეფასებას

$$\delta_{mk} = k^{-\ell} \beta_k^{(m)}, \ell \geq 1, \tag{12}$$

სადაც $\sum_{k=0}^{\infty} \sum_{m=-k}^{k} \left| \beta_k^{(m)} \right|^2 < \infty.$

თეორემა 1.7. თუ $f(z) \in C^{(\ell)}(\sum_1),$ სადაც $\sum_1$ ერთეულრადიუსიანი სფეროა, მაშინ $\alpha_{mk}, \beta_{mk}, \gamma_{mk}$ კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრულნი არიან (11) ფორმულებით, უშვებენ შემდეგ შეფასებებს

$$\alpha_{mk} = O\left(k^{-\ell}\right), \qquad \beta_{mk} = O\left(k^{-\ell-1}\right), \ \gamma_{mk} = O\left(k^{-\ell-1}\right), \ \ell \geq 1. \tag{13}$$

თეორემა 1.8. ნებისმიერი $k \geq 0$-თვის $\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)$ ფუნქცია და $\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi),$ $\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi),$ $Z_{mk}(\vartheta,\varphi)$ ვექტორები უშვებენ შემდეგ შეფასებებს:

$$\left|\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\right| \leq \sqrt{\frac{2k+1}{4\pi}}, \ \left|\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)\right| \leq \sqrt{\frac{2k+1}{4\pi}}, \quad k \geq 0,$$

$$\left|\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)\right| < \sqrt{\frac{2k(k+1)}{2k+1}}, \ \left|Z_{mk}(\vartheta,\varphi)\right| < \sqrt{\frac{2k(k+1)}{2k+1}}, \quad k \geq 1. \tag{14}$$

შემდგომში ჩვენ ვისარგებლებთ შემდეგი ტოლობებით [8]

$$e_r \cdot \mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi) = \mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi), \quad e_r \cdot \mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi) = 0, \quad e_r \cdot \mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi) = 0.$$

$$[e_r \times \mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)] = 0, \quad [e_r \times \mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)] = -\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi), \; [e_r \times \mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)] = \mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi),$$

$$div[a(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)] = \left(\frac{d}{dr} + \frac{2}{r}\right)a(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),$$

$$div[a(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)] = -\frac{\sqrt{k(k+1)}}{r}a(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),$$

$$div[a(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)] = 0,$$

$$grad\left[a(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\right] = \frac{da(r)}{dr}\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi) + \frac{\sqrt{k(k+1)}}{r}a(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi),$$

$$rot\left[xa(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\right] = \sqrt{k(k+1)}a(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi), \tag{15}$$

$$rot[a(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)] = \frac{\sqrt{k(k+1)}}{r}a(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi),$$

$$rot[a(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)] = -\left(\frac{d}{dr} + \frac{1}{r}\right)a(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi),$$

$$rot[a(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)] = \frac{\sqrt{k(k+1)}}{r}a(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi) + \left(\frac{d}{dr} + \frac{1}{r}\right)a(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi),$$

$$rotrot\left[xa(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\right] = \frac{k(k+1)}{r}a(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi) + \sqrt{k(k+1)}\left(\frac{d}{dr} + \frac{1}{r}\right)a(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi),$$

სადაც $x = (x_1, x_2, x_3)$, $a(r)$ – r-ის ნებისმიერი (წარმოებადი) ფუნქციაა.

ვთქვათ $\Omega^+ = B(R) \subset \mathbb{R}^3$ არის ბირთვი, რომელიც შემოსაზღვრულია $\sum_R = \partial\Omega$ სფერული ზედაპირით, ცენტრით კოორდინატთა სათავეში და რადიუსით R. შემოვიღოთ აღნიშვნა $\Omega^- := \mathbb{R}^3 \backslash \overline{\Omega}^+$.

სამართლიანია შემდეგი ტოლობები [8], [44]

$$\int\limits_{\partial\Omega} \mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)ds = \begin{cases} 2\sqrt{\pi}R^2, & \text{როცა } k = m = 0, \\ 0, & \text{ყველა სხვა შემთხვევაში,} \end{cases}$$

$$\int\limits_{\partial\Omega} \mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)ds = \begin{cases} \sqrt{\dfrac{2\pi}{3}}\left[(\delta_{-1m} - \delta_{1m})e_1 - i(\delta_{-1m} + \delta_{1m})e_2 + \sqrt{2}\delta_{0m}e_3\right]R^2, \; k = 1, \; m = 0, \pm 1, \\ 0, \quad k \text{ და } m\text{-ის ყველა სხვა მნიშვნელობისათვის,} \end{cases}$$

$$\int_{\partial\Omega} \mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)ds = \sqrt{2}\int_{\partial\Omega} \mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)ds, \tag{16}$$

$\int_{\partial\Omega} Z_{mk}(\vartheta,\varphi)ds = 0,$ ყოველი k და m რიცხებისთვის, სადაც $e_j = (\delta_{j1}, \delta_{j2}, \delta_{j3})^{\mathrm{T}}$,

$j = 1,2,3,$ საბაზისო ვექტორებია, δ_{kj} კრონეკერის სიმბოლოა,

$$\text{ე.ი.}\quad \delta_{kj} = \begin{cases} 1, & \text{როცა } k = j, \\ 0, & \text{როცა } k \neq j. \end{cases}$$

განსაზღვრება 1.9. Ω არეში განსაზღვრული $u(x)$ ვექტორ-ფუნქციას ვუწოდოთ რეგულარული, თუ $u(x) \in C^2(\Omega) \bigcap C^1(\overline{\Omega})$.

§ 4. ორ ტემპერატურიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვანი სისტემის ამონახსნის წარმოდგენა

თეორემა 1.10. იმისათვის, რომ $U = (u, \vartheta_1, \vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ვექტორი იყოს (5)-(6) სისტემის რეგულარული ამონახსნი Ω არეში, აუცილებელი და საკმარისია, რომ იგი წარმოიდგინებოდეს შემდეგი სახით:

$$u(x) = grad\Phi_1(x) - agradr^2\left(r\frac{\partial}{\partial r} + 1\right)\Phi_2(x) + rotrot\left(xr^2\Phi_2(x)\right) +$$
$$+ rot\left(x\Phi_3(x)\right) + (\eta_1 + \eta_2)x\Phi_4(x) + a_1 grad\Phi_5(x),$$
$$\vartheta_1(x) = \left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r} + 3\lambda + 5\mu\right]\Phi_4(x) + (\lambda + 2\mu)\lambda_1^2(\kappa_2 + \kappa_3)\Phi_5(x), \tag{17}$$
$$\vartheta_2(x) = \left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r} + 3\lambda + 5\mu\right]\Phi_4(x) - (\lambda + 2\mu)\lambda_1^2(\kappa_1 + \kappa_2)\Phi_5(x),$$

სადაც

$$\Delta\Phi_j\ (x) = 0, \quad j = 1,2,3,4, \quad \left(\Delta - \lambda_1^2\right)\Phi_5(x) = 0, \quad \lambda_1^2 = \alpha(\kappa_1 + \kappa_3 + 2\kappa_2)/d',$$

$$d' = \kappa_1\kappa_3 - \kappa_2^2, \quad a = \mu/(\lambda + 2\mu), \quad a_1 = \eta_1(\kappa_2 + \kappa_3) - \eta_2(\kappa_1 + \kappa_2),$$

$$x = (x_1, x_2 x_3)^{\mathrm{T}}, \quad r = |x|, \quad r\frac{\partial}{\partial r} = x \cdot grad.$$

დამტკიცება. ვთქვათ $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ვექტორი არის (5)-(6) სისტემის ამონახს-ნი. (6) სისტემიდან ვღებულობთ, რომ

$$\Delta\left[(\kappa_1+\kappa_2)\vartheta_1(x)+(\kappa_2+\kappa_3)\vartheta_2(x)\right]=0,$$
$$\left(\Delta-\lambda_1^2\right)\left(\vartheta_1(x)-\vartheta_2(x)\right)=0, \tag{18}$$

სადაც Δ ლაპლასის სამგანზომილებიანი ოპერატორია, ხოლო

$$\lambda_1^2=\alpha(\kappa_1+\kappa_3+2\kappa_2)/d', \qquad d'=\kappa_1\kappa_3-\kappa_2^2>0.$$

(18) სისტემიდან ვღებულობთ, რომ

$$(\kappa_1+\kappa_2)\vartheta_1(x)+(\kappa_2+\kappa_3)\vartheta_2(x)=(\kappa_1+\kappa_3+2\kappa_2)\left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r}+(3\lambda+5\mu)\right]\Phi_4(x),$$
$$\vartheta_1(x)-\vartheta_2(x)=(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_1+\kappa_3+2\kappa_2)\Phi_5(x),$$

სადაც $\quad \Delta\Phi_4(x)=0, \quad \left(\Delta-\lambda_1^2\right)\Phi_5(x)=0$.

უკანასკნელი სისტემიდან ვღებულობთ, რომ

$$\vartheta_1(x)=\left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r}+3\lambda+5\mu\right]\Phi_4(x)+(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_2+\kappa_3)\Phi_5(x),$$
$$\vartheta_2(x)=\left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r}+3\lambda+5\mu\right]\Phi_4(x)-(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_1+\kappa_2)\Phi_5(x). \tag{19}$$

თუ $\vartheta_1(x)$ და $\vartheta_2(x)$ ფუნქციების ამ მნიშვნელობებს შევიტანთ (5) განტოლებაში, მივიღებთ

$$\begin{aligned}\mu\Delta u+(\lambda+\mu)graddivu=(\eta_1+\eta_2)grad\left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r}+3\lambda+5\mu\right]\Phi_4(x)+\\ +(\lambda+2\mu)\lambda_1^2a_1grad\Phi_5(x),\end{aligned} \tag{20}$$

სადაც

$$a_1=\eta_1(\kappa_2+\kappa_3)-\eta_2(\kappa_1+\kappa_2), \qquad r\frac{\partial}{\partial r}=x\cdot grad.$$

(20) დიფერენციალური განტოლების ამონახსნი წარმოიდგინება შემ-დეგი სახით

$$u(x)=u_0(x)+\tilde{u}(x), \tag{21}$$

სადაც $\tilde{u}=(\tilde{u}_1,\tilde{u}_2,\tilde{u}_3)^{\mathrm{T}}$ არის (20) დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის რაიმე კერძო ამონახსნი, ხოლო $u_0=(u_{10},u_{20},u_{30})^{\mathrm{T}}$ ვექტორი არის შემდეგი ერთგვაროვანი

$$\mu\Delta u_0(x)+(\lambda+\mu)graddivu_0(x)=0, \qquad (22)$$

სისტემის ზოგადი ამონახსნი.

(20) სისტემის კერძო ამონახსნს აქვს შემდეგი სახე

$$\tilde{u}(x)=(\eta_1+\eta_2)x\Phi_4(x)+a_1grad\Phi_5(x). \qquad (23)$$

(22) სისტემის ზოგადი ამონახსნი წარმოიდგინება შემდეგი სახით [9]

$$u_0(x)=grad\Phi_1(x)-agradr^2\left(r\frac{\partial}{\partial r}+1\right)\Phi_2(x)+rotrot\left(xr^2\Phi_2(x)\right)+rot\left(x\Phi_3(x)\right), \qquad (24)$$

სადაც $\Delta\Phi_j(x)=0, \quad j=1,2,3, \quad a=\mu/(\lambda+2\mu)$.

თუ $\tilde{u}(x)$ და $u_0(x)$ ვექტორების მნიშვნელობებს (23) და (24)-დან შევიტანთ (21)-ში, მივიღებთ დასამტკიცებელ (17) ფორმულას.

უშუალო შემოწმებით მტკიცდება, რომ $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ვექტორი წარმოდგენილი (17) სახით არის (5)-(6) სისტემის ამონახსნი.

§ 5. ზოგიერთი მნიშვნელოვანი თეორემა

თეორემა 1.11. $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ვექტორი წარმოდგენილი (17) სახით ცალსახად იქნება განსაზღვრული $\Omega^+(\Omega^-)$ არეში $\Phi_j(x), j=\overline{1,5}$ ფუნქციებით, თუ სრულდება შემდეგი პირობა

$$\int_{\sum_r}\Phi_j(x)d\sum\nolimits_r=0\,, \quad j=1,3\,, \quad r=|x|<R\,, \qquad (25)$$

$$\int_{\sum_r}\Phi_j(x)d\sum\nolimits_r=0\,, \quad j=2,3\,, \quad r=|x|>R\,, \qquad (26)$$

ე.ი. $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ვექტორის ნულოვან მნიშვნელობას შეესაბამება $(\Phi_1,\Phi_2,....,\Phi_5)^{\mathrm{T}}$ ვექტორის ნულოვანი მნიშვნელობა და პირიქით.

დამტკიცება. ვთქვათ $u(x)=0, \quad \vartheta_j(x)=0, \quad j=1,2, \quad x\in\Omega^+$. მაშინ (17)-დან ვღებულობთ, რომ $\Phi_4(x)=0, \quad \Phi_5(x)=0, \quad x\in\Omega^+$ და

$$grad\Phi_1(x) - agradr^2\left(r\frac{\partial}{\partial r}+1\right)\Phi_2(x) + rotrot\left(xr^2\Phi_2(x)\right) + rot\left(x\Phi_3(x)\right) = 0. \qquad (27)$$

ტოლობის ორივე მხარეს მოვახდინოთ div ოპერატორი, მივიღებთ

$$\left(2r\frac{\partial}{\partial r}+3\right)\left(r\frac{\partial}{\partial r}+1\right)\Phi_2(x) = 0, \quad x \in \Omega^+. \qquad (28)$$

Ω^+ არეში $\Phi_2(x)$ ფუნქცია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$\Phi_2(x) = \sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{r}{R}\right)^k \mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(2)},$$

სადაც $\mathrm{A}_{mk}^{(2)}$ ნებისმიერი მუდმივია.

თუ $\Phi_2(x)$ ფუნქციის ამ მნიშვნელობას შევიტანთ (28)-ში, მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}(k+1)(2k+3)\left(\frac{r}{R}\right)^k \mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(2)} = 0, \qquad x \in \Omega^+.$$

თუ ამ ტოლობის ორივე მხარეს გადავალთ ზღვარზე, როცა $r \to R$, მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}(k+1)(2k+3)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(2)} = 0, \qquad x \in \sum\nolimits_1,$$

საიდანაც დავასკვნით, რომ $\mathrm{A}_{mk}^{(2)} = 0, \quad k \ge 0,$ ე.ი. $\Phi_2(x) = 0, \quad x \in \Omega^+.$

თუ (27)-ში გავითვალისწინებთ, რომ $\Phi_2(x) = 0,$ მივიღებთ

$$grad\Phi_1(x) + rot\left(x\Phi_3(x)\right) = 0, \quad x \in \Omega^+. \qquad (29)$$

ტოლობის ორივე მხარეს მოვახდინოთ rot-ის ოპერაცია და გავითვალისწი-ნოთ ტოლობები $rotgrad = 0, \ rotrot = graddiv - \Delta,$ მივიღებთ

$$grad\left(r\frac{\partial}{\partial r}+1\right)\Phi_3(x) = 0, \qquad x \in \Omega^+.$$

თუ ტოლობის ორივე მხარეს სკალარულად გავამრავლებთ $x = (x_1, x_2, x_3)^{\mathrm{T}}$ ვექტორზე, მივიღებთ

$$r\frac{\partial}{\partial r}\left(r\frac{\partial}{\partial r}+1\right)\Phi_3(x) = 0, \quad x \in \Omega^+. \qquad (30)$$

$\Phi_3(x)$ ფუნქცია Ω^+ არეში წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$\Phi_3(x) = \sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{r}{R}\right)^k \mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(3)}, \qquad x \in \Omega^+. \qquad (31)$$

თუ $\Phi_3(x)$ ფუნქციის ამ მნიშვნელობას შევიტანთ (30)-ში, მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k} k(k+1)\left(\frac{r}{R}\right)^{k} \mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(3)} = 0, \qquad x\in\Omega^{+}.$$

თუ ამ ტოლობის ორივე მხარეს გადავალთ ზღვარზე, როცა $r\to R$, მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k} k(k+1)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(3)} = 0, \qquad x\in\sum{}_1,$$

აქედან ვღებულობთ, რომ $\mathrm{A}_{mk}^{(3)}=0,\ k\ge 1$. თუ ამ ტოლობას გავითვალისწინებთ (31)-ში, მივიღებთ

$$\Phi_3(x)=\frac{1}{2\sqrt{\pi}}\mathrm{A}_{00}^{(3)}, \qquad x\in\Omega^{+}.$$

თუ $\Phi_3(x)$ ფუნქციის ამ მნიშვნელობას შევიტანთ (25)-ში, მივიღებთ, რომ $\mathrm{A}_{00}^{(3)}=0$, ე.ი. $\Phi_3(x)=0,\ x\in\Omega^{+}$. ამ ტოლობის გათვალისწინებით (29)-დან ვღებულობთ $grad\Phi_1(x)=0$, ანუ $\Phi_1(x)=c=const.$ თუ $\Phi_1(x)$, ფუნქციის ამ მნიშვნელობას შევიტანთ (25)-ში, მივიღებთ, რომ $c=0$, ე.ი. $\Phi_1(x)=0$, $x\in\Omega^{+}$.

ვთქვათ ახლა $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}=0,\ x\in\Omega^{-}$, მაშინ (17)-ის მეორე და მესამე ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ $\Phi_5(x)=0,\ x\in\Omega^{-}$ და

$$\left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r}+3\lambda+5\mu\right]\Phi_4(x)=0, \qquad x\in\Omega^{-}. \tag{32}$$

Ω^{-} არეში განსაზღვრული $\Phi_4(x)$, ფუნქცია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$\Phi_4(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(4)}, \qquad x\in\Omega^{-}, \tag{33}$$

სადაც $\mathrm{A}_{mk}^{(4)}$, ნებისმიერი მუდმივია.

თუ $\Phi_4(x)$ ფუნქციის (33) მნიშვნელობას შევიტანთ (32)-ში მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(2(\lambda+2\mu)-(\lambda+\mu)k\right)\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(4)}=0, \quad x\in\Omega^{-}.$$

აქედან, თუ გავითვალისწინებთ, რომ $2(\lambda+2\mu)-(\lambda+\mu)k \neq 0, \quad k \geq 0,$ მივიღებთ, რომ $\mathrm{A}_{mk}^{(4)}=0, \quad k \geq 0,$ ანუ $\Phi_4(x)=0, \quad x \in \Omega^-.$

(27) ტოლობის ორივე მხარეს მოვახდინოთ div-ის ოპერაცია, მივიღებთ

$$\left(2r\frac{\partial}{\partial r}+3\right)\left(r\frac{\partial}{\partial r}+1\right)\Phi_2(x)=0, \quad x \in \Omega^-. \tag{34}$$

Ω^- არეში $\Phi_2(x)$ ფუნქცია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\Phi_2(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(2)}, \quad x \in \Omega^-. \tag{35}$$

თუ $\Phi_2(x)$ ფუნქციის ამ მნიშვნელობას შევიტანთ (34)-ში, მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}k(2k-1)\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(2)}=0, \quad x \in \Omega^-.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ $\mathrm{A}_{mk}^{(2)}=0, \; k \geq 1.$ თუ ამ ტოლობას გავითვალის-წინებთ (35)-ში, მივიღებთ

$$\Phi_2(x)=\frac{R}{2\sqrt{\pi}r}\mathrm{A}_{00}^{(2)}, \quad x \in \Omega^-.$$

თუ $\Phi_2(x)$ ფუნქციის ამ მნიშვნელობას გავითვალისწინებთ (26)-ში, მივიღებთ, რომ $\mathrm{A}_{00}^{(2)}=0,$ და მაშასადამე $\Phi_2(x)=0, \quad x \in \Omega^-.$

$\Phi_2(x)=0, \quad x \in \Omega^-$ გავითვალისწინოთ (27)-ში, მივიღებთ

$$grad\Phi_1(x)+rot(x\Phi_3(x))=0, \quad x \in \Omega^-. \tag{36}$$

ტოლობის ორივე მხარე სკალარულად გავამრავლოდ $x=(x_1,x_2,x_3)^{\mathrm{T}}$ ვექ-ტორზე და გავითვალისწინოთ, რომ $x \cdot grad = r\frac{\partial}{\partial r}, \quad x \cdot rot(x\Phi_3(x))=0,$ მი-ვიღებთ

$$r\frac{\partial}{\partial r}\Phi_1(x)=0, \quad x \in \Omega^-. \tag{37}$$

$\Phi_1(x)$ ჰარმონიული ფუნქცია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$\Phi_1(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(1)}, \quad x \in \Omega^-.$$

თუ $\Phi_1(x)$ ფუნქციის ამ მნიშვნელობას შევიტანთ (37)-ში, მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}(k+1)\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(1)}=0, \qquad x\in\Omega^-.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ $\mathrm{A}_{mk}^{(1)}=0, \quad k\ge 0,$ ანუ $\Phi_1(x)=0, \quad x\in\Omega^-.$

(37) ტოლობიდან $\Phi_1(x)=0,$ ტოლობის გათვალისწინებით ვღებულობთ, რომ

$$rot(x\Phi_3(x))=0, \quad x\in\Omega^-. \tag{38}$$

$\Phi_3(x)$ ჰარმონიული ფუნქცია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$\Phi_3(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(3)}, \quad x\in\Omega^-.$$

თუ $\Phi_3(x)$ ფუნქციის ამ მნიშვნელობას შევიტანთ (38)-ში და გავითვალისწინებთ (15) ფორმულას, მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\sqrt{k(k+1)}\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(3)}=0, \quad x\in\Omega^-.$$

აქედან ვღებულობთ, რომ $\mathrm{A}_{mk}^{(3)}=0, \quad k\ge 1,$ ანუ

$$\Phi_3(x)=\frac{R}{2\sqrt{\pi}r}\mathrm{A}_{00}^{(3)}. \tag{39}$$

(26)-დან (39)-ის გათვალისწინებით ვღებულობთ, რომ $\mathrm{A}_{00}^{(3)}=0,$ ანუ $\Phi_3(x)=0, \quad x\in\Omega^-.$ ამრიგად მივიღეთ, რომ თუ სრულდება (25) და (26) ტოლობები, მაშინ $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}=0,$ ტოლობიდან გამომდინარეობს $\Phi_j(x)=0, \quad j=1,2,....,5$ ტოლობა შესაბამისად Ω^+ და Ω^- არეებში. პირიქით, თუ $\Phi_j(x)=0, j=1,2,....,5 \quad x\in\Omega^+$ ან $x\in\Omega^-$ არეში, მაშინ (17) ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ $U(x)=0$ შესაბამისად Ω^+ და Ω^- არეში.

თეორემა 1.12. თუ (5)-(6) სისტემის $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ამონახსნი უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში აკმაყოფილებს ქრობის შემდეგ პირობას

$$u(x)=O(1), \quad \vartheta_j(x)=O\left(|x|^{-1}\right), \quad j=1,2,$$

$$\lim_{r\to\infty}\frac{1}{4\pi r^2}\iint_{\sum_r} n(x)\cdot u(x)d\sum{}_r=0, \tag{40}$$

მაშინ უსასრულობაში მას გააჩნია შემდეგი ასიმპტოტიკა

$$u(x)=O\left(|x|^{-1}\right),\quad \partial_k u(x)=O\left(|x|^{-2}\right),\qquad \vartheta_j(x)=O\left(|x|^{-2}\right),\ j=1,2,k=1,2,3.$$

(40)-ში $\sum_r$ არის სფერული ზედაპირი ცენტრით კოორდინატთა სათავეში და რადიუსით r .

დამტკიცება. Ω^- არეში (5)-(6) სისტემის ამონახსნი ვეძებოთ (17) ფორმულის სახით, სადაც $\Phi_j(x),\ j=1,2,\ldots,5$ ფუნქციებს აქვს შემდეგი სახე

$$\Phi_j(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(j)},\ j=1,2,3,4,$$

$$\Phi_5(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}h_k(\lambda_1 r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad (41)$$

სადაც $\mathrm{A}_{mk}^{(j)},\ j=1,2,\ldots,5$ საძიებელი მუდმივებია, ხოლო

$$h_k(\lambda_1 r)=\sqrt{\frac{R}{r}}\,\frac{K_{k+1/2}(\lambda_1 r)}{K_{k+1/2}(\lambda_1 R)},$$

$K_{k+1/2}(\lambda_1 r)$ მაკდონალდის ფუნქცია, ანუ წარმოსახვით არგუმენტიანი ჰანკელის ფუნქციაა.

თუ (41)-დან $\Phi_j(x),\ j=2,3$ ფუნქციის მნიშვნელობებს შევიტანთ (26) და ვისარგებლებთ (16)-ის პირველი ტოლობით, მივიღებთ, რომ $\mathrm{A}_{00}^{(j)}=0$, $j=2,3$.

თუ $\Phi_j(x),\ j=1,2,\ldots\ldots,5$ ფუნქციების (41) მნიშვნელობებს შევიტანეთ (17)-ში და ვისარგებლებთ (15) ტოლობებით, მივიღებთ, რომ

$$u(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left\{u_{mk}^-(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)+\sqrt{k(k+1)}\left[v_{mk}^-(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+w_{mk}^-(r)Z_{mk}(\vartheta,\varphi)\right]\right\},$$

$$x\in\Omega^-,\qquad (42)$$

$$\vartheta_j(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\widetilde{\vartheta}_{mk}^{(j)}(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\ j=1,2,\quad x\in\Omega^-,\qquad (43)$$

სადაც $u_{mk}^-(r)=-\dfrac{k+1}{R}\left(\dfrac{R}{r}\right)^{k+2}\mathrm{A}_{mk}^{(1)}+Rk(bk+a+1)\left(\dfrac{R}{r}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(2)}+(\eta_1+\eta_2)R\left(\dfrac{R}{r}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(4)}+$

$$+a_1\frac{d}{dr}h_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\ge 0,$$

$$v_{mk}^{-}(r)=\frac{1}{R}\left(\frac{R}{r}\right)^{k+2}\mathrm{A}_{mk}^{(1)}-R(bk-2)\left(\frac{R}{r}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(2)}+\frac{a_1}{r}h_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\geq 1,$$

$$w_{mk}^{-}(r)=\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{A}_{mk}^{(3)},\qquad k\geq 1,$$

$$\widetilde{\vartheta}_{mk}^{(1)}(r)=[2(\lambda+2\mu)-k(\lambda+\mu)]\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{A}_{mk}^{(4)}+(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_2+\kappa_3)h_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\geq 0,$$

$$\widetilde{\vartheta}_{mk}^{(2)}(r)=[2(\lambda+2\mu)-k(\lambda+\mu)]\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{A}_{mk}^{(4)}-(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_1+\kappa_2)h_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\quad k\geq 0\,.$$

(42) განტოლებიდან (15)-ის გათვალისწინებით ვღებულობთ

$$n(x)\cdot u(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}u_{mk}^{-}(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\qquad x\in\Omega^{-},$$

თუ $n(x)\cdot u(x)$-ის ამ მნიშვნელობას შევიტანთ (40)-ში, და გავითვალისწინებთ (16)-ის პირველ ტოლობას, მივიღებთ, რომ $\mathrm{A}_{00}^{(4)}=0$, თუ ამ ტოლობას გავითვალისწინებთ (42)-(43) -ში, მივიღებთ, რომ

$$u(x)=O\left(|x|^{-1}\right),\ \partial_k u(x)=O\left(|x|^{-2}\right),\ \vartheta_j(x)=O\left(|x|^{-2}\right),\ j=1,2,k=1,2,3.\quad \partial_k=\partial/\partial x_k \quad (44)$$

შენიშვნა 1.13. შევნიშნოთ რომ, თუ $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ვექტორს უსასრულობაში გააჩნია (40) ასიმპტოტიკა, მაშინ Ω^{-} არეში შეგვიძლია დავწეროთ (5) - (6) სისტემის შესაბამისი გრინის ფორმულები.

თავი II. არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები სფერული ზედაპირით შემოსაზღვრული არეებისათვის

ამ თავში ჩვენ შევისწავლით ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის არაკლასიკურ ამოცანებს ბირთვისთვის და მთელი სივრცისათვის ბირთვული ხვრელით იმ შემთხვევისთვის, როცა ნარევში შემავალი დრეკადი მასალების კერძო გადაადგილებები ერთმანეთის ტოლია.

§ 1. ამოცანების დასმა. ერთადერთობის თეორემები

აღვნიშნოთ Ω^+-ით ბირთვი, რომელიც შემოსაზღვრულია $\partial\Omega$ სფერული ზედაპირით, ცენტრით კოორდინატთა სათავეში და რადიუსით R. $\Omega^- := \mathbb{R}^3 \setminus \overline{\Omega}^+$.

ამოცანა $(III)^{\pm}$. ვიპოვოთ $\Omega^+(\Omega^-)$ არეში (5) - (6) განტოლებათა სისტემის ისეთი რეგულარული ამონახსნი $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგი სასაზღვრო პირობებიდან ერთ-ერთს

$$\{n(z)\cdot u(z)\}^{\pm} = f_4(z), \qquad z\in\partial\Omega,$$

$$\{\mathrm{P}(\partial,n)U(z)-n(z)(n(z)\cdot \mathrm{P}(\partial,n)U(z))\}^{\pm} = f(z), \qquad z\in\partial\Omega, \tag{45}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{\pm} = f_5(z), \qquad \{\vartheta_2(z)\}^{\pm} = f_6(z), \qquad z\in\partial\Omega, \tag{46}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm} = f_5(z), \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm} = f_6(z), \; z\in\partial\Omega, \tag{47}$$

სადაც $f=(f_1,f_2,f_3)^{\mathrm{T}}$, f_j, $j=1,2,....,6$ $\partial\Omega$ საზღვარზე მოცემული ფუნქციებია, $n(z)$ არის $z\in\partial\Omega$, წერტილში გამავალი Ω^+ არის მიმართ გარე ნორმალის ორტი, $\mathrm{P}(\partial,n)U$ ძაბვის ვექტორს აქვს (8) სახე.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U(x)$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის შემდეგ პირობებს:

$$u(x)=O(1), \qquad \vartheta_j(x)=O\left(|x|^{-1}\right), \qquad j=1,2, \tag{48}$$

$$\lim_{r\to\infty}\frac{1}{4\pi r^2}\int_{\sum_r} n(x)\cdot u(x)d\sum{}_r=0, \tag{49}$$

$(III)^{\pm}$ ამოცანა (45), (46) სასაზღვრო პირობით აღვნიშნოთ $(\mathrm{III}\cdot\mathrm{I})^{\pm}$ სიმბოლოთი, ხოლო (45), (47) სასაზღვრო პირობით კი $(\mathrm{III}\cdot\mathrm{II})^{\pm}$ სიმბოლოთი.

ამოცანა $(\mathrm{I}V)^{\pm}$. ვიპოვოთ $\Omega^+(\Omega^-)$ არეში (5)-(6) განტოლებათა სისტემის ისეთი რეგულარული ამონახსნი $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$, რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგი სასაზღვრო პირობებიდან ერთ-ერთს

$$\{n(z)\cdot \mathrm{P}(\partial,n)U(z)\}^{\pm}=f_4(z), \qquad z\in\partial\Omega,$$

$$\{u(z)-n(z)(n(z)\cdot u(z))\}^{\pm}=f(z), \quad z\in\partial\Omega, \tag{50}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{\pm}=f_5(z), \qquad \{\vartheta_2(z)\}^{\pm}=f_6(z), \quad z\in\partial\Omega, \tag{51}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm}=f_5(z), \quad \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm}=f_6(z), \quad z\in\partial\Omega, \tag{52}$$

სადაც $f=(f_1,f_2,f_3)^{\mathrm{T}}$, f_j, $j=1,2,....,6$ $\partial\Omega$ საზღვარზე მოცემული ფუნქციებია, $n(z)$ არის $z\in\partial\Omega$, წერტილში გამავალი Ω^+ არის მიმართ გარე ნორმალის ორტი. $\dfrac{\partial}{\partial n(z)}$ არის ნორმალის მიმართულებით წარმოებული.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U(x)$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის (48)-(49) პირობებს.

$(IV)^{\pm}$ ამოცანა (50)-(51) სასაზღვრო პირობით აღვნიშნოთ $(IV\cdot I)^{\pm}$ სიმბოლოთი, ხოლო (50), (52) სასაზღვრო პირობით კი $(IV\cdot II)^{\pm}$ სიმბოლოთი.

ამოცანა $(\mathrm{N})^{\pm}$. ვიპოვოთ $\Omega^+(\Omega^-)$ არეში (5) - (6) განტოლებათა სისტემის ისეთი რეგულარული ამონახსნი $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$, რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგი სასაზღვრო პირობებიდან ერთ-ერთს

$$\{n(z)\cdot u(z)\}^{\pm}=f_4(z), \quad \{n(z)\times rot u(z)\}^{\pm}=f(z), \quad z\in\partial\Omega, \tag{53}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{\pm} = f_5(z), \qquad \{\vartheta_2(z)\}^{\pm} = f_6(z), \qquad z \in \partial\Omega, \tag{54}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm} = f_5(z), \quad \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm} = f_6(z), \qquad z \in \partial\Omega, \tag{55}$$

სადაც $f = (f_1, f_2, f_3)^{\top}$, f_j, $j = 1,2,....,6$ $\partial\Omega$ საზღვარზე მოცემული ფუნქციები.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U(x)$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის (48)-(49) პირობებს.

$(\mathrm{N})^{\pm}$ ამოცანა (53)-(54) სასაზღვრო პირობით აღვნიშნოთ $(\mathrm{N}\cdot\mathrm{I})^{\pm}$ სიმბოლოთი, ხოლო (53), (55) სასაზღვრო პირობით კი $(\mathrm{N}\cdot\mathrm{II})^{\pm}$ სიმბოლოთი.

ვთქვათ Ω^{+} არე შევსებულია ორკომპონენტიანი დრეკადი კომპოზიტური მასალით, ხოლო Ω^{-} სკალარული ველი განსაზღვრულია ჰარმონიული ფუნქციით.

ამოცანა (C). ვიპოვოთ Ω^{+} არეში (5) - (6) განტოლებათა სისტემის ისეთი რეგულარული $U = (u, \vartheta_1, \vartheta_2)^{\top}$ ამონახსნი და Ω^{-} არეში ისეთი რეგულარული ჰარმონიული $\upsilon(x)$ ფუნქცია, რომლებიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგ საკონტაქტო პირობებს

$$\{n(z)\cdot u(z)\}^{+} - d_1\left\{\frac{\partial\upsilon(z)}{\partial n(z)}\right\}^{-} = f_4(z), \qquad z \in \partial\Omega,$$

$$\{\mathrm{P}(\partial, n)U(z)\}^{+} - d_2\{n(z)\upsilon(z)\}^{-} = f(z), \qquad z \in \partial\Omega, \tag{56}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{+} = f_5(z), \qquad \{\vartheta_2(z)\}^{+} = f_6(z), \qquad z \in \partial\Omega, \tag{57}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{+} = f_5(z), \qquad \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{+} = f_6(z), \qquad z \in \partial\Omega, \tag{58}$$

სადაც $f = (f_1, f_2, f_3)^{\top}$, f_j, $j = 1,2,....,6$ საზღვარზე მოცემული ფუნქციებია, d_1 და d_2 მუდმივებია, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას $d_1 d_2 > 0$.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $\upsilon(x)$ ფუნქცია აკმაყოფილებს ქრობის შემდეგ პირობას

$$\upsilon(x)=O\left(|x|^{-1}\right), \quad \frac{\partial \upsilon(x)}{\partial x_k}=O\left(|x|^{-2}\right), \quad |x|\to\infty. \tag{59}$$

(C) ამოცანა (56) - (57) სასაზღვრო პირობებით აღვნიშნოთ $(C\cdot \mathrm{I})$ სიმბოლოთი, ხოლო (56); (57) სასაზღვრო პირობებით კი $(C\cdot \mathrm{II})$ სიმბოლოთი.

თეორემა 2.1. თუ $(III)^{\pm}$ ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ $(III)^{-}$ და $(III.I)^{+}$ ამოცანას გააჩნია ერთადერთი ამონახსნი, ხოლო $(III.II)^{+}$ ამოცანის ნებისმიერი ამონახსნი განისაზღვრება $u(x)=[b\times x]$, $\vartheta_1(x)=c$, $\vartheta_2(x)=c$, შესაკრების სიზუსტით, სადაც b სამგანზომილებიანი მუდმივი ვექტორია, c ნებისმიერი მუდმივაა.

დამტკიცება. თეორემა დამტკიცებული იქნება, თუ ვაჩვენებთ, რომ $(III)_0^{-}$ და $(III.I)_0^{+}$ ერთგვაროვან ამოცანას გააჩნია მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი, ხოლო $(III.II)_0^{+}$ ერთგვაროვან ($f_j=0,\ j=1,2,....,6$) ამოცანის ნებისმიერი ამონახსნია $u(x)=[b\times x]$, $\vartheta_1(x)=c$, $\vartheta_2(x)=c$.

თუ (6) სისტემის პირველ განტოლებას გავამრავლებთ ϑ_1-ზე, ხოლო მეორეს ϑ_2 -ზე და ვაინტეგრირებთ Ω^{+} არეზე, მაშინ სტოქსის ფორმულის გათვალისწინებით მივიღებთ, რომ

$$\int_{\partial\Omega}\left[\left(\kappa_1\vartheta_1(z)+\kappa_2\vartheta_2(z)\right)\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}+\left(\kappa_2\vartheta_1(z)+\kappa_3\vartheta_2(z)\right)\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right]^{+}ds- \tag{60}$$

$$-\int_{\Omega^{+}}\left[\kappa_1|grad\vartheta_1(x)|^2+2\kappa_2 grad\vartheta_1(x)\cdot grad\vartheta_2(x)+\kappa_3|grad\vartheta_2(x)|^2+\alpha\left(\vartheta_i(x)-\vartheta_2(x)\right)^2\right]dx=0\,.$$

თუ (60) ტოლობაში გავითვალისწინებთ $(III)_0^{+}$ ერთგვაროვანი ამოცანის ნულოვან სასაზღვრო პირობებს, მივიღებთ

$$\int_{\Omega^{+}}\left[\kappa_1|grad\vartheta_1(x)|^2+2\kappa_2 grad\vartheta_1(x)\cdot grad\vartheta_2(x)+\kappa_3|grad\vartheta_2(x)|^2+\alpha\left(\vartheta_i(x)-\vartheta_2(x)\right)^2\right]dx=0\,. \tag{61}$$

შევნიშნოთ, რომ

$$\kappa_1|grad\vartheta_1(x)|^2+2\kappa_2 grad\vartheta_1(x)\cdot grad\vartheta_2(x)+\kappa_3|gzad\vartheta_2(x)|^2=$$
$$=\frac{\kappa_1\kappa_3-\kappa_2^2}{\kappa_3}|grad\vartheta_1(x)|^2+\frac{1}{\kappa_3}|\kappa_2\, grad\vartheta_1(x)+\kappa_3 grad\vartheta_2(x)|^2\geq 0,$$

ვინაიდან $\kappa_3>0,\quad \kappa_1\kappa_3-\kappa_2^2>0.$

ამრიგად (61) ტოლობაში ინტეგრალქვეშა გამოსახულება არაუარყოფითი ფუნქციაა, ამიტომ (61)-დან ვღებულობთ

$$grad\vartheta_j(x)=0,\quad j=1,2,\ \vartheta_1(x)=\vartheta_2(x),\ x\in\Omega^+.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ

$$\vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=c=const,\qquad x\in\Omega^+. \tag{62}$$

$(III.I)_0^+$ ამოცანის შემთხვევაში $c=0$, ხოლო $(III.II)_0^+$ ამოცანის შემთხვევაში კი $c=const$.

თუ ϑ_j, $j=1,2,$ ფუნქციების (62) მნიშვნელობებს შევიტანთ (5) განტოლებაში, მივიღებთ

$$\mathrm{A}(\partial)u(x):=\mu\Delta u(x)+(\lambda+\mu)graddivu(x)=0,\qquad x\in\Omega^+.$$

ამ განტოლებისათვის Ω^+. არეში გრინის ფორმულას აქვს შემდეგი სახე [28]

$$\int_{\Omega^+}u(x)\cdot\mathrm{A}(\partial)u(x)dx=\int_{\partial\Omega}\{u(z)\}^+\cdot\{\mathrm{T}(\partial,n)u(z)\}^+ds-\int_{\Omega^+}E(u,u)dx. \tag{63}$$

შევნიშნოთ, რომ

$$u\cdot\mathrm{T}(\partial,n)u=(n\cdot u)(n\cdot\mathrm{T}(\partial,n)u)-[u-n(n\cdot u)]\,[\mathrm{T}(\partial,n)u-n(n\cdot\mathrm{T}(\partial,n)u)]. \tag{64}$$

$(III)_0^+$ ერთგვაროვანი ამოცანის სასაზღვრო პირობების თანახმად (64)-დან ვღებულობთ, რომ $\{u(z)\}^+\cdot\{\mathrm{T}(\partial,n)u(z)\}^+=0,$ რის გამოც (63) გადაიწერება შემდეგი სახით

$$\int_{\Omega^+}E(u,u)dx=0. \tag{65}$$

$E(u,u)$ კვადრატულ ფორმას აქვს შემდეგი სახე [28]

$$E(u,u)=\frac{3\lambda+2\mu}{3}(divu)^2+\frac{\mu}{2}\sum_{k\neq j=1}^{3}\left(\frac{\partial u_k}{\partial x_j}+\frac{\partial u_j}{\partial x_k}\right)^2+\frac{\mu}{3}\sum_{k,j=1}^{3}\left(\frac{\partial u_k}{\partial x_k}-\frac{\partial u_j}{\partial x_j}\right)^2\geq 0. \tag{66}$$

(65)-დან ვღებულობთ, რომ $E(u(x),u(x))=0,\ x\in\Omega^+$. ამ განტოლების ამონახსნს აქვს შემდეგი სახე [28]

$$u(x) = d'' + [b \times x], \quad x \in \Omega^+. \tag{67}$$

სადაც b და d'' სამგანზომილებიანი მუდმივი ვექტორებია. თუ $u(x)$ ვექტორის (67) მნიშვნელობას შევიტანთ (45) ერთგვაროვან $(f_j = 0, j = 1,2,3,4)$ სასაზღვრო პირობებში, მივიღებთ, რომ $d'' = 0$. თეორემა დამტკიცებულია.

$\partial\Omega_r$-ით აღვნიშნოთ სფერო, ცენტრით კოორდინატთა სათავეში და რადიუსით $r(r > R)$. Ω_r-ით აღვნიშნოთ სფერული რგოლი, რომელიც შემოსაზღვრულია $\partial\Omega$ და $\partial\Omega_r$ კონცენტრული სფერული ზედაპირებით. დავწეროთ გრინის (60) ფორმულა Ω_r არეში, მივიღებთ

$$\int_{\partial\Omega_r} [(\kappa_1 \vartheta_1(x) + \kappa_2 \vartheta_2(x))\frac{\partial \vartheta_1(x)}{\partial n(x)} + (\kappa_2 \vartheta_1(x) + \kappa_3 \vartheta_2(x))\frac{\partial \vartheta_2(x)}{\partial n(x)}]ds - \int_{\partial\Omega} [\kappa_1 \vartheta_1(z) +$$

$$+ \kappa_2 \vartheta_2(z))\frac{\partial \vartheta_1(z)}{\partial n(z)} + (\kappa_2 \vartheta_1(z) + \kappa_3 \vartheta_2(z))\frac{\partial \vartheta_2(z)}{\partial n(z)}]^- ds - \int_{\Omega_r} [\kappa_1 |grad \vartheta_1(x)|^2 +$$

$$+ 2\kappa_2 grad \vartheta_1(x) \cdot grad \vartheta_2(x) + \kappa_3 |grad \vartheta_2(x)|^2 + \alpha(\vartheta_1(x) - \vartheta_2(x))^2]dx = 0.$$

ტოლობის ორივე მხარეს გადავიდეთ ზღვარზე, როცა $r \to \infty$ და გავითვალისწინოთ (48)-(49) ქრობის პირობები, მივიღებთ

$$\int_{\partial\Omega} [(\kappa_1 \vartheta_1(z) + \kappa_2 \vartheta_2(z))\frac{\partial \vartheta_1(z)}{\partial n(z)} + (\kappa_2 \vartheta_1(z) + \kappa_3 \vartheta_2(z))\frac{\partial \vartheta_2(z)}{\partial n(z)}]^- ds + \int_{\Omega^-} [\kappa_1 |grad \vartheta_1(x)|^2 +$$

$$+ 2\kappa_2 gzad \vartheta_1(x) \cdot grad \vartheta_2(x) + \kappa_3 |grad \vartheta_2(x)|^2 + \alpha(\vartheta_1(x) - \vartheta_2(x))^2]dx = 0. \tag{68}$$

თუ (68) ფორმულაში გავითვალისწინებთ $(III)_0^-$ ერთგვაროვანი ამოცანის სასაზღვრო პირობებს ($f_j = 0, j = 1,2,...,6$) მივიღებთ

$$\int_{\Omega^-} [\kappa_1 |grad \vartheta_1(x)|^2 + 2\kappa_2 \, grad \vartheta_1(x) \cdot grad \vartheta_2(x) +$$

$$\kappa_3 |grad \vartheta_2(x)|^2 + \alpha(\vartheta_1(x) - \vartheta_2(x))^2]dx = 0 \tag{69}$$

ამ ტოლობიდან ვღებულობთ, რომ

$$grad \vartheta_j(x) = 0, \ j = 1,2, \quad \vartheta_1(x) = \vartheta_2(x), \quad x \in \Omega^-.$$

აქედან ვღებულობთ

$$\vartheta_1(x) = \vartheta_2(x) = c = const, \quad x \in \Omega^-.$$

ვინაიდან $\vartheta_j(x)$, $j=1,2$, ფუნქცია უსასრულობაში მიისწრაფვის ნულისაკენ, ამიტომ $c=0$, ე. ი. $\vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=0,\ x\in\Omega^-$. ამის გათვალისწინებით (5) განტოლება მიიღებს სახეს:

$$\mathrm{A}(\partial)u:=\mu\Delta u+(\lambda+\mu)graddivu=0,\quad x\in\Omega^-.$$

ამ განტოლებისთვის Ω^- არეში გრინის ფორმულას აქვს სახე [28]

$$\int_{\Omega^-}u(x)\cdot \mathrm{A}(\partial)u(x)dx=-\int_{\partial\Omega}\{u(z)\}^-\cdot\{\mathrm{T}(\partial,n)u(z)\}^-ds-\int_{\Omega^-}E(u,u)dx, \tag{70}$$

სადაც $\mathrm{E}(u,u)$ კვადრატულ ფორმას აქვს (66) სახე.

(64) ტოლობის თანახმად, $(III)_0^-$ ამოცანის ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით ვღებულობთ, რომ

$$\{u(z)\}^-\cdot\{\mathrm{T}(\partial,n)u(z)\}^-=0.$$

ამის გათვალისწინებით (70) -დან ვღებულობთ, რომ $\int_{\Omega^-}\mathrm{E}(u,u)dx=0.$ აქედან ვღებულობთ, რომ $\mathrm{E}(u,u)=0,$ საიდანაც გამომდინარეობს, რომ $u(x)=d+[b\times x],\ x\in\Omega^-$. ვინაიდან $u(x)$, მიისწრაფვის ნულისაკენ, როცა $|x|\to\infty$, ამიტომ $d=0$, $b=0$, ე. ი. $u(x)=0,\ x\in\Omega^-$. ამრიგად $(III)_0^-$ ერთგვაროვან ამოცანას გააჩნია მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი.

თეორემა 2.2. თუ $(IV)^\pm$ ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ იგი ერთადერთია.

დამტკიცება. თეორემა დამტკიცებული იქნება, თუ ვაჩვენებთ, რომ $(IV)_0^\pm$ ერთგვაროვან ($f_j=0,\ j=1,2,...,6$) ამოცანას გააჩნია მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. თუ გავიმეორებთ სიტყვა-სიტყვით თეორემა 2.1-ში ჩატარებულ მსჯელობას, მივიღებთ, რომ

$$u(x)=d+[b\times x],\quad \vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C,\quad x\in\Omega^\pm.$$

თუ $u(x)$, ვექტორისა და $\vartheta_j(x)$, $j=1,2$ ფუნქციების ამ მნიშვნელობებს შევიტანთ (50) ერთგვაროვან ($f_j=0,\ j=1,2,3,4$) სასაზღვრო პირობებში, მივიღებთ, რომ $d=0$, $b=0$, $c=0$, ე. ი. $(IV)_0^\pm$ ერთგვაროვან ამოცანას გააჩნია მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი.

თეორემა 2.3. თუ $(\mathrm{N})^{\pm}$ ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ $(\mathrm{N}\cdot\mathrm{I})^{+}$ და $(\mathrm{N})^{-}$ ამოცანას გააჩნია ერთადერთი ამონახსნი, ხოლო $(\mathrm{N}\cdot\mathrm{II})^{+}$ ამოცანის ნებისმიერი ამონახსნი განისაზღვრება $u(x)=0,\quad \vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C=const,$ შესაკრების სიზუსტით.

დამტკიცება. თეორემა დამტკიცებული იქნება, თუ ვაჩვენებთ, რომ $(\mathrm{N}\cdot\mathrm{I})_0^{+}$ და $(\mathrm{N})_0^{-}$ ერთგვაროვან ($f_j=0,\ j=1,2,...,6$) ამოცანებს გააჩნიათ მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი, ხოლო $(\mathrm{N}\cdot\mathrm{II})^{+}$ ერთგვაროვანი ამოცანის ნებისმიერი ამონახსნია $u(x)=0,\ \vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C=const.$

(61) და (69) ტოლობებიდან ვღებულობთ, რომ

$$\vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C=const,\quad x\in\Omega^{\pm}. \tag{71}$$

$(\mathrm{N}\cdot\mathrm{I})_0^{\pm}$ და $(\mathrm{N}\cdot\mathrm{II})_0^{-}$ ამოცანების შემთხვევაში $C=0$, ხოლო $(\mathrm{N}\cdot\mathrm{II})_0^{+}$ ამოცანის შემთხვევაში კი $C=const.$

თუ $\vartheta_1(x)$ და $\vartheta_2(x)$ ფუნქციების (71) მნიშვნელობებს შევიტანთ (5)-ში, მაშინ იგი მიიღებს შემდეგ სახეს

$$\mathrm{A}(\partial)u(x):=\mu\Delta u(x)+(\lambda+\mu)graddivu(x)=0,\quad x\in\Omega^{\pm}. \tag{72}$$

(72) ტოლობის ორივე მხარე სკალარულად გავამრავლოთ $u(x)$ ვექტორზე, მივიღებთ

$$u(x)\cdot\mathrm{A}(\partial)u(x)=\mu u(x)\cdot\Delta u(x)+(\lambda+\mu)u(x)\cdot graddivu(x)=0.$$

თუ ამ ტოლობაში ვისარგებლებთ შემდეგი იგივური ტოლობებით

$$u\cdot\Delta u=div(udivu)+div[u\times rotu]-(divu)^2-(rotu)^2,$$

$$u\cdot graddivu=div(udivu)-(divu)^2,$$

მივიღებთ

$$u(x)\cdot\mathrm{A}(\partial)u(x)=div[(\lambda+2\mu)u(x)divu(x)+u(x)\times rotu(x)]-\widetilde{\mathrm{E}}(u,u), \tag{73}$$

სადაც

$$\widetilde{\mathrm{E}}(u,u)=(\lambda+2\mu)(divu)^2+\mu(rotu)^2\geq 0. \tag{74}$$

თუ ვისარგებლებთ სტოქსის ფორმულით, მაშინ (73)-დან მივიღებთ

$$\int_{\Omega^{+}}u(x)\cdot\mathrm{A}(\partial)u(x)dx=\int_{\partial\Omega}\{u(z)\}^{+}\cdot\{\widetilde{\mathrm{P}}(\partial,n)u(z)\}^{+}ds-\int_{\Omega^{+}}\widetilde{\mathrm{E}}(u,u)dx, \tag{75}$$

სადაც

$$u(z)\cdot\widetilde{\mathrm{P}}(\partial,n)u(z)=(\lambda+2\mu)(n(z)\cdot u(z))divu(z)-u(z)\cdot[n(z)\times rotu(z)]. \qquad (76)$$

აქ ვისარგებლებთ ტოლობით

$$n(z)\cdot[u(z)\times rotu(z)]=-u(z)[n(z)\times rotu(z)].$$

(76) ტოლობაში თუ გავითვალისწინებთ $(\mathrm{N})_0^+$ ერთგვაროვანი ამოცანის ნულოვან სასაზღვრო პირობებს მივიღებთ, რომ

$$\{u(z)\}^+\cdot\{\widetilde{\mathrm{P}}(\partial,n)u(z)\}^+=0.$$

ამ ტოლობისა და (72) ტოლობის გათვალისწინებით, (75)-დან მივიღებთ

$$\int_{\Omega^+}\widetilde{\mathrm{E}}(u,u)dx=0. \qquad (77)$$

ვინაიდან $\widetilde{\mathrm{E}}(u,u)\geq 0$, ამიტომ (77)-დან ვღებულობთ

$$divu(x)=0,\quad rotu(x)=0,\quad x\in\Omega^+.$$

ამ სისტემის ამონახსნს აქვს სახე

$$u(x)=grad\varphi(x),\ x\in\Omega^+. \qquad (78)$$

სადაც $\varphi(x)$, ჰარმონიული ფუნქციაა.

$\{n(z)\cdot u(z)\}^+=0$ სასაზღვრო პირობიდან გამომდინარეობს, რომ $\varphi(x)$, ფუნქცია აკმაყოფილებს ნეიმანის სასაზღვრო პირობას

$$\left\{\frac{\partial\varphi(z)}{\partial n(z)}\right\}^+=0,\qquad z\in\partial\Omega.$$

ცნობილია, რომ ნეიმანის ამოცანის ამონახსნია $\varphi(x)=C'=const$, $x\in\Omega^+$. თუ $\varphi(x)=C'$ მნიშვნელობას შევიტანთ (78)-ში, მივიღებთ $u(x)=0$, $x\in\Omega^+$. ამრიგად მივიღებთ, რომ $(\mathrm{N}\cdot\mathrm{I})_0^+$ ამოცანას გააჩნია მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი, ხოლო $(\mathrm{N}\cdot\mathrm{II})_0^+$ ამოცანის ნებისმიერი ამონახსნია $u(x)=0$, $\vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C$, $x\in\Omega^+$.

აღვნიშნოთ $\partial\Omega_r$-ით სფერული ზედაპირი ცენტრით კოორდინატთა სათავეში და რადიუსით $r(r>R)$. Ω_r-ით აღვნიშნოთ სფერული შრე, რომელიც შემოსაზღვრულია $\partial\Omega$ და $\partial\Omega_r$ სფერული ზედაპირებით. Ω_r არეში დავწეროთ (75) გრინის ფორმულა

$$\int_{\Omega_r} u(x)\cdot \mathrm{A}(\partial)u(x)dx = -\int_{\partial\Omega}\{u(z)\}^{-}\cdot\{\widetilde{\mathrm{P}}(\partial,n)u(z)\}^{-}ds + \int_{\partial\Omega_r} u(x)\cdot\widetilde{\mathrm{P}}(\partial,n)u(x)ds - \int_{\Omega_r}\widetilde{\mathrm{E}}(u,u)dx, \tag{79}$$

(76) ტოლობაში თუ გავითვალისწინებთ $(\mathrm{N})_0^-$ ამოცანის ნულოვან სასაზღვრო პირობებს, მივიღებთ, რომ

$$\{u(z)\}^{-}\cdot\{\widetilde{\mathrm{P}}(\partial,n)u(z)\}^{-} = 0.$$

ამ ტოლობისა და (72) ტოლობის გათვალისწინებით, (79) ტოლობა გადაიწერება ასე

$$\int_{\partial\Omega_r}\{u(x)\}\cdot\{\widetilde{\mathrm{P}}(\partial,n)u(x)\}ds + \int_{\Omega_r}\widetilde{\mathrm{E}}(u,u)ds = 0.$$

ტოლობის ორივე მხარეს გადავიდეთ ზღვარზე, როცა $r\to\infty$ და გავითვალისწინოთ უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ვექტორის (48) ასიმპტოტიკა, მივიღებთ

$$\int_{\Omega^-}\widetilde{\mathrm{E}}(u,u)dx = 0.$$

აქედან ვღებულობთ, რომ $\widetilde{\mathrm{E}}(u,u)=0$, საიდანაც გამომდინარეობს $divu(x)=0,\ rotu(x)=0,\ x\in\Omega^-$. ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ

$$u(x) = grad\psi(x), \quad x\in\Omega^- \tag{80}$$

სადაც $\psi(x)$ ჰარმონიული ფუნქციაა.

$\{n(z)\cdot u(z)\}^{-}=0$ სასაზღვრო პირობიდან გამომდინარეობს, რომ $\psi(x)$ ფუნქცია აკმაყოფილებს ნეიმანის სასაზღვრო პირობას

$$\left\{\frac{\partial\psi(z)}{\partial n(z)}\right\}^{-} = 0, \quad z\in\partial\Omega.$$

ნეიმანის ამოცანის ამონახსნია $\psi(x)=C'=const.$

$\psi(x)$ ფუნქციის ამ მნიშვნელობას თუ შევიტანთ (80) -ში, მივიღებთ $u(x)=0,$ $x\in\Omega^-$. ამრიგად მივიღეთ, რომ $(\mathrm{N})_0^-$ ერთგვაროვან ამოცანას გააჩნია მხოლოდ
ტრივიალური ამონახსნი.

თეორემა 2.4. თუ (C) ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ $(C\cdot \mathrm{I})$ ამოცანის ნებისმიერი ამონახსნი განისაზღვრება $u(x)=[a'\times x]$, $v(x)=0$, $\vartheta_j(x)=0,\ j=1{,}2$ შესაკრების სიზუსტით, ხოლო $(C\cdot \mathrm{II})$ ამოცანის ამონახსნი კი $u(x)=[a'\times x]+\dfrac{\sigma C'}{R}x,\ v(x)=-\dfrac{\sigma C'R^2}{d_1|x|},\quad \vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C'$, შესაკრების სიზუსტით, სადაც a' სამგანზომილებიანი ნებისმიერი მუდმივი ვექტორია, C' ნებისმიერი მუდმივია, ხოლო $\sigma=d_1R(\eta_1+\eta_2)/\left(d_1(3\lambda+2\mu)+R^2d_2\right)$.

დამტკიცება. თეორემა დამტკიცებული იქნება, თუ ვაჩვენებთ, რომ $(C\cdot \mathrm{I})_0$ ერთგვაროვანი ($f_j=0,\ j=1{,}2{,}\ldots 6$) ამოცანის ნებისმიერი ამონახსნია $u(x)=[a'\times x]$, $v(x)=0,\quad \vartheta_j(x)=0,\ j=1{,}2$, ხოლო $(C\cdot \mathrm{II})_0$ ამოცანის ნებისმიერი ამონახსნი წარმოიდგინება შემდეგი სახით

$$u(x)=[a'\times x]+\frac{\sigma C'}{R}x,\quad v(x)=-\frac{\sigma C'R^2}{d_1|x|},\qquad \vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C'.$$

(61) ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ $grad\,\vartheta_j(x)=0,\quad j=1{,}2,$ $\vartheta_1(x)=\vartheta_2(x),\quad x\in\Omega^+$. აქედან ვღებულობთ, რომ $\vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C'=c\ o\ n.$ $x\in\Omega^+$. $(C\cdot \mathrm{I})_0$ ამოცანის შემთხვევაში $C'=0$, ხოლო $(C\cdot \mathrm{II})$ ამოცანის შემთხვევაში კი $C'=const$.

თუ $\vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C'$ ტოლობას გავითვალისწინებთ $(C)_0$ ერთგვაროვან ამოცანაში, მაშინ $u(x)$ ვექტორისა და $v(x)$ ფუნქციისათვის მივიღებთ შემდეგ საკონტაქტო ამოცანას

$$\mathrm{A}(\partial)u(x):=\mu\Delta u(x)+(\lambda+\mu)\,grad\,div\,u(x)=0,\quad x\in\Omega^\pm,\quad \Delta v(x)=0,\quad x\in\Omega^-;\quad (81)$$

$$\{n(z)\cdot u(z)\}^+-d_1\left\{\frac{\partial v(z)}{\partial n(z)}\right\}^-=0,\qquad z\in\partial\Omega,$$

$$\{\mathrm{T}(\partial,n)u(z)\}^+-d_2\{n(z)v(z)\}^-=C(\eta_1+\eta_2)n(z),\qquad z\in\partial\Omega,\qquad (82)$$

ვთქვათ $C'=0$ ე. ი. განვიხილოთ $(C\cdot \mathrm{I})_0$ ამოცანის შემთხვევა.

(81) განტოლებებისათვის დავწეროთ გრინის ფორმულები [28], [44]

$$\int_{\Omega^+}u(x)\cdot \mathrm{A}(\partial)u(x)dx=\int_{\partial\Omega}\{u(z)\}^+\cdot\{\mathrm{T}(\partial,n)u(z)\}^+ds-\int_{\Omega^+}\mathrm{E}(u,u)dx,\qquad (83)$$

$$\int_{\Omega^-} v(x)\Delta v(x)dx = -\int_{\partial\Omega} \{v(z)\}^- \left\{\frac{\partial v(z)}{\partial n(z)}\right\}^- ds - \int_{\Omega^-} |grad\, v(x)|^2 dx,$$

სადაც $\mathrm{E}(u,u)$ კვადრატულ ფორმას აქვს (66) სახე.

(82) საკონტაქტო ($C'=0$ შემთხვევაში) პირობებიდან ვღებულობთ

$$\{u(z)\}^+ \cdot \{\mathrm{T}(\partial,n)u(z)\}^+ = d_1 d_2 \{v(z)\}^- \left\{\frac{\partial v(z)}{\partial n(z)}\right\}^- . \tag{84}$$

თუ ამ ტოლობას გავითვალისწინებთ (83) ტოლობებში, მივიღებთ

$$\int_{\Omega^+} \mathrm{E}(u,u)dx + d_1 d_2 \int_{\Omega^-} |gradv(x)|^2 dx = 0. \tag{85}$$

(85) ტოლობიდან ვღებულობთ, რომ ვინაიდან $d_1 d_2 > 0$, $\mathrm{E}(u,u) \geq 0$, ამიტომ

$$\mathrm{E}(u(x),u(x)) = 0, \quad x \in \Omega^+, \quad gradv(x) = 0, \quad x \in \Omega^-.$$

აქედან (59)-ის თანახმად გვაქვს

$$u(x) = b + [a' \times x], \quad x \in \Omega^+, \ v(x) = 0, \quad x \in \Omega^-.$$

სადაც b და a' სამგანზომილებიანი ნებისმიერი მუდმივი ვექტორებია. (82)-ის პირველი ტოლობიდან ვღებულობთ, რომ $b=0$. ამრიგად $(C\cdot\mathrm{I})_0$ ამოცანის ნებისმიერი ამონახსნია $u(x) = [a' \times x]$, $\vartheta_j(x) = 0$, $j=1,2$, $x \in \Omega^+$ და $v(x) = 0$, $x \in \Omega^-$.

$(C\cdot\mathrm{II})_0$ ერთგვაროვანი ამოცანის შემთხვევაში $(C' \neq 0)$, (81)-(82) ამოცანის კერძო ამონახსნს აქვს შემდეგი სახე

$$u_0(x) = \frac{\sigma C'}{R} x, \quad x \in \Omega^+, \quad v(x) = -\frac{\sigma C' R^2}{d_1 |x|}, \quad x \in \Omega^-, \tag{86}$$

სადაც $\sigma = d_1 R(\eta_1 + \eta_2)/(d_1(3\lambda + 2\mu) + R^2 d_2)$.

ამრიგად $(C\cdot\mathrm{II})$ ამოცანის ზოგად ამონახსნს აქვს შემდეგი სახე

$$u(x) = [a' \times x] + \frac{\sigma C'}{R} x, \quad \vartheta_j(x) = C', \ j=1,2, \ x \in \Omega^+,$$

$$v(x) = -\frac{\sigma C' R^2}{d_1 |x|}, \quad x \in \Omega^-.$$

§2. $(\mathrm{III})^+$ ამოცანის ამოხსნა

ამ ამოცანის ამონახსნი ვეძებოთ (17) სახით, სადაც

$$\Phi_j(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{r}{R}\right)^k \mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(j)},\ j=1,2,3,4,$$

$$\Phi_5(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k} g_k(\lambda_1 r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(5)}, \tag{87}$$

$\mathrm{A}_{mk}^{(j)},\ j=1,2,....,5$ საძიებელი მუდმივებია, (r,ϑ,φ) x წერტილის სფერული კოორდინატებია, $\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)$ სფერული ფუნქციაა, რომელსაც აქვს შემდეგი სახე.

$$\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)=\sqrt{\frac{2k+1}{4\pi}\cdot\frac{(k-m)!}{(k+m)!}}\mathrm{P}_k^{(m)}(\cos\vartheta)e^{im\varphi}, \tag{88}$$

$\mathrm{P}_k^{(m)}(\cos\vartheta)$ ლეჟანრის მიკავშირებული პოლინომია, ხოლო

$$g_k(\lambda_1 r)=\sqrt{\frac{R}{r}}\,\frac{\mathrm{I}_{k+1/2}(\lambda_1 r)}{\mathrm{I}_{k+1/2}(\lambda_1 R)},$$

$\mathrm{I}_{k+1/2}(x)$ წარმოსახვით არგუმენტიანი ბესელის ფუნქციაა. თუ $\Phi_j(x),\ j=1,3$ ფუნქციის მნიშვნელობებს (87)-დან შევიტანთ (25)-ში და გავითვალისწინებთ (16)-ის პირველ ტოლობას, მივიღებთ, რომ $\mathrm{A}_{00}^{(j)}=0,\ j=1,3.$

თუ $\Phi_j(x),\ j=1,2,...,5$ ფუნქციის (87) მნიშვნელობებს შევიტანთ (17)-ში და გავითვალისწინებთ (15) ტოლობებს, მივიღებთ

$$u(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left\{u_{mk}^{+}(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)+\sqrt{k(k+1)}\left[v_{mk}^{+}(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+w_{mk}^{+}(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)\right]\right\},$$

$$x\in\Omega^{+}. \tag{89}$$

$$\vartheta_j(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\vartheta_{mk}^{(j)}(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\ j=1,2,\qquad x\in\Omega^{+}.$$

სადაც

$$u_{mk}^{+}(r)=\frac{k}{R}\left(\frac{r}{R}\right)^{k-1}\mathrm{A}_{mk}^{(1)}+R(k+1)(bk-2a)\left(\frac{r}{R}\right)^{k+1}\mathrm{A}_{mk}^{(2)}+(\eta_1+\eta_2)R\left(\frac{r}{R}\right)^{k+1}\mathrm{A}_{mk}^{(4)}+$$

$$+a_1\frac{d}{dr}g_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\ge 0,$$

$$v_{mk}^{+}(r)=\frac{1}{R}\left(\frac{r}{R}\right)^{k-1}\mathrm{A}_{mk}^{(1)}+R(bk+b+2)\left(\frac{r}{R}\right)^{k+1}\mathrm{A}_{mk}^{(2)}+a_1\frac{1}{r}g_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\ge 1,$$

$$w_{mk}^{+}(r)=\left(\frac{r}{R}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(3)},\quad k\geq 1,\quad b=1-a,$$

$$\vartheta_{mk}^{(1)}(r)=[(\lambda+\mu)k+3\lambda+2\mu]\left(\frac{r}{R}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(4)}+(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_2+\kappa_3)g_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\geq 0,$$

$$\vartheta_{mk}^{(2)}(r)=[(\lambda+\mu)k+3\lambda+2\mu]\left(\frac{r}{R}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(4)}-(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_1+\kappa_2)g_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\geq 0\,.$$

(89)- ის მეორე ტოლობიდან ვღებულობთ

$$\frac{\partial\vartheta_j(x)}{\partial n(x)}=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\frac{d}{dr}\vartheta_{mk}^{(j)}(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\ j=1,2,x\in\Omega^{+}. \tag{90}$$

თუ $u(x)$ ვექტორისა და $\vartheta_j(x),\ j=1,2$ ფუნქციის მნიშვნელობებს (89)-დან შევიტანთ (8)-ში მაშინ ძაბვის ვექტორს ექნება შემდეგი სახე

$$\mathrm{P}(\partial,n)U(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left\{a_{mk}^{+}(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)+\sqrt{k(k+1)}\left[b_{mk}^{+}(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+c_{mk}^{+}(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)\right]\right\},$$

$$x\in\Omega^{+}, \tag{91}$$

სადაც

$$a_{mk}^{+}(r)=\frac{2\mu k(k-1)}{R^2}\left(\frac{r}{R}\right)^{k-2}\mathrm{A}_{mk}^{(1)}+2\mu(k+1)[bk(k-1)+1-4b]\left(\frac{r}{R}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(2)}+$$

$$+\mu(\eta_1+\eta_2)(k-3)\left(\frac{r}{R}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(4)}-\frac{2\mu a_1}{r}\left(2\frac{d}{dr}-\frac{k(k+1)}{r}\right)g_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\geq 0,$$

$$b_{mk}^{+}(r)=\frac{2\mu k(k-1)}{R^2}\left(\frac{r}{R}\right)^{k-2}\mathrm{A}_{mk}^{(1)}+2\mu\left[b(k+1)^2-1\right]\left(\frac{r}{R}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(2)}+\mu(\eta_1+\eta_2)\left(\frac{r}{R}\right)^{k}\mathrm{A}_{mk}^{(4)}+$$

$$+2\mu a_1\frac{1}{r}\left(\frac{d}{dr}-\frac{1}{r}\right)g_k(\lambda_1 r)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad k\geq 1,$$

$$c_{mk}^{+}(r)=\frac{\mu(k-1)}{R}\left(\frac{r}{R}\right)^{k-1}\mathrm{A}_{mk}^{(3)},\qquad k\geq 1.$$

(91) -დან ვღებულობთ

$$\mathrm{P}(\partial,n)U(x)-n(n\cdot\mathrm{P}(\partial,n)U(x))=\sum_{k=1}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\sqrt{k(k+1)}\left[b_{mk}^{+}(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+c_{mk}^{+}(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)\right],x\in\Omega^{+}.$$

$$\tag{92}$$

(89)-დან ვღებულობთ, რომ

$$n(x)\cdot u(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}u_{mk}^{+}(r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\, x\in\Omega^{+}\,. \qquad (93)$$

ვთქვათ $f(z)$ ვექტორი და $f_j(z),\, j=4,5,6$ ფუნქციები აკმაყოფილებენ სიგლუვის ისეთ საკმარის პირობებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ წარმოვადგინოთ ისინი ფურიე-ლაპლასის მწკრივების სახით

$$f(r)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left\{\alpha_{mk}\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)+\sqrt{k(k+1)}\left[\beta_{mk}\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+\gamma_{mk}\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)\right]\right\}, \qquad (94)$$

$$f_j(r)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\delta_{mk}^{(j)}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi),\, j=4,5,6, \qquad (95)$$

სადაც α_{mk}, β_{mk}, γ_{mk}, $\delta_{mk}^{(j)}$, $j=4,5,6$ ფურიე-ლაპლასის კოეფიციენტებია. ვინაიდან $n(z)\cdot f(z)=0$, ამიტომ $n(z)\cdot \mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)=0$, $n(z)\cdot \mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)=0$, $n(z)\cdot \mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)=\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)$ ტოლობების გათვალისწინებით, (94) ტოლო-ბიდან ვღებულობთ, რომ $\alpha_{mk}=0$, რის გამოც (94) ტოლობა გადაიწერება ასე

$$f(r)=\sum_{k=1}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\sqrt{k(k+1)}\left[\beta_{mk}\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+\gamma_{mk}Z_{mk}(\vartheta,\varphi)\right]. \qquad (96)$$

(18) სისტემის პირველი განტოლებიდან სტოქსის ფორმულის გამოყენებით ვღებულობთ, რომ

$$\int_{\partial\Omega}\left[(\kappa_1+\kappa_2)\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}+(\kappa_2+\kappa_3)\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right]^{+}ds=0.$$

თუ ამ ტოლობაში გავითვალისწინებთ (47) სასაზღვრო პირობებს, მივიღებთ

$$\int_{\partial\Omega}\left[(\kappa_1+\kappa_2)f_5(z)+(\kappa_2+\kappa_3)f_6\right]ds=0. \qquad (97)$$

$f_j(z)$, $j=5,6$ ფუნქციის (95) მნიშვნელობა შევიტანოთ (97) ტოლობაში და გავითვალისწინოთ (16)-ის პირველი ტოლობა, მივიღებთ

$$(\kappa_1+\kappa_2)\delta_{00}^{(5)}+(\kappa_2+\kappa_3)\delta_{00}^{(6)}=0. \qquad (98)$$

$(\mathrm{III})^{+}$ ამოცანის ამონახსნის არსებობის აუცილებელ და საკმარის პირობას წარმოადგენს შემდეგი ტოლობა

$$\int_{\partial\Omega}[z \times f(z)]ds = 0. \tag{99}$$

თუ $f(z)$ ვექტორის (96) მნიშვნელობას შევიტანთ (99)-ში და გავითვალისწინებთ (16) ტოლობებს, მივიღებთ

$$\gamma_{m1} = 0, \quad m = -1,0,1. \tag{100}$$

თუ (92), (93) ტოლობებში და $\vartheta_j(x)$, $j = 1,2$ ფუნქციის (89) მნიშვნე-ლობაში გადავალთ ზღვარზე, როცა $x \to z \in \partial\Omega$ და გავითვალისწინებთ (45)-(46) სასაზღვრო პირობებს, მაშინ საძიებელი $\mathrm{A}_{mk}^{(j)}$, $j = 1,2,...,5$ მუდმივებისათვის მივიღებთ წრფივ ალგებრულ განტოლებათა შემდეგ სისტემას, რომელიც შეესაბამება $(\mathrm{III} \cdot \mathrm{I})^{+}$ ამოცანას

$$u_{mk}^{+}(R) = \delta_{mk}^{(4)}, \quad \vartheta_{mk}^{(1)}(R) = \delta_{mk}^{(5)}, \quad \vartheta_{mk}^{(2)}(R) = \delta_{mk}^{(6)}, \quad k \ge 0,$$

$$b_{mk}^{+}(R) = \beta_{mk}, \quad C_{mk}^{+}(R) = \gamma_{mk}, \quad k \ge 1 \tag{101}$$

თეორემა 1.11, თეორემა 2.1-ის და (100)-ის თანახმად (101) ალგებ-რულ განტოლებათა სისტემა თავსებადია, განუსაზღვრელი რჩება მხოლოდ სამი მუდმივი $\mathrm{A}_{m1}^{(3)}, m = -1,0,1.$ ეს ბუნებრივიცაა, რადგან $(\mathrm{III} \cdot \mathrm{I})^{+}$ ამოცანის ამონახსნი განისაზღვრება $u(x) = [b \times x]$, $\vartheta_j(x) = 0$, $j = 1,2$ შესაკრებების სიზუსტით.

შევისწავლოთ (89), (91) მწკრივების კრებადობის საკითხი. სამართლიანია შემდეგი ასიმპტოტური წარმოდგენა, როცა $k \to +\infty$

$$g_k(\lambda_1 r) \approx \left(\frac{r}{R}\right)^k, \quad g_k'(\lambda_1 r) \approx \frac{k}{r}\left(\frac{r}{R}\right)^k, \quad r < R. \tag{102}$$

თუ $x \in \Omega^{+}$ $(r < R)$, მაშინ (102)-ის თანახმად ზემოთ აღნიშნული მწკრივები არიან კრებადნი.

თუ $x \in \partial\Omega$, $(r = R)$, მაშინ თეორემა 1.8-ისა და (102) ასიმპტოტიკის თანახმად ზემოთ აღნიშნული მწკრივები იქნებიან აბსოლუტურად და თანაბრად კრებადნი, თუ კრებადი იქნება შემდეგი მაჟორანტული მწკრივი

$$\sum_{k=k_0}^{\infty} k^{3/2}\left[\left|\delta_{mk}^{(4)}\right| + k\left(\left|\beta_{mk}\right| + \left|\gamma_{mk}\right| + \left|\delta_{mk}^{(5)}\right| + \left|\delta_{mk}^{(6)}\right|\right)\right]. \tag{103}$$

მოცემული მაჟორანტული მწკრივი იქნება კრებადი, თუ მოცემული ფურიე-ლაპლასის კოეფიციენტები უშვებენ შემდეგ შეფასებებს:

$$\beta_{mk} = 0\left(k^{-4}\right), \quad \gamma_{mk} = 0\left(k^{-4}\right), \quad \delta_{mk}^{(4)} = 0\left(k^{-3}\right),$$

$$\delta_{mk}^{(5)} = 0\left(k^{-4}\right), \quad \delta_{mk}^{(6)} = 0\left(k^{-4}\right), \tag{104}$$

თეორემა 1.6 და თეორემა 1.7-ის ძალით ადგილი ექნება (104) შეფასებებს, თუ სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციებს მოვთხოვთ შემდეგ სიგლუვეს

$$f(z) \in C^3(\partial\Omega), \quad f_4(z) \in C^3(\partial\Omega), \quad f_j(z) \in C^4(\partial\Omega), \quad j = 5{,}6. \tag{105}$$

ამგვარად ვაჩვენეთ, რომ $f(z)$ ვექტორი და $f_j(z)$, $j = 4{,}5{,}6$ ფუნქციები აკმაყოფილებენ სიგლუვის (105) პირობებს, მაშინ $(\mathrm{III} \cdot \mathrm{I})^+$ ამოცანის ამონახსნი წარმოიდგინება (89) მწკრივების სახით.

ახლა ვაჩვენოთ, რომ $u(x)$ ვექტორი შეიცავს შესაკრების სახით ნებისმიერ $[b \times x]$ სახის ვექტორს, სადაც b ნებისმიერი სამგანზომილებიანი მუდმივი ვექტორია. ამ მიზნით (89) ფორმულით წარმოდგენილი $u(x)$ ვექტორი გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\begin{aligned} u(x) = \sqrt{2}\sum_{m=-1}^{1} w_{m1}^{+}(r)\mathrm{Z}_{m1}(\vartheta,\varphi) + \sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k} \Big\{ & u_{mk}^{+}(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi) + \\ + \sqrt{k(k+1)}\Big[v_{mk}^{+}(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi) + (1-\delta_{k1})w_{mk}^{+}(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)\Big] & \Big\}, \end{aligned} \qquad x \in \Omega^+ \tag{106}$$

$$\sqrt{2}\sum_{m=-1}^{1} w_{m1}^{+}(r)\mathrm{Z}_{m1}(\vartheta,\varphi) = \frac{1}{R}\sum_{m=-1}^{1} r\mathrm{A}_{m1}^{(3)}\mathrm{Z}_{m1}(\vartheta,\varphi) = -\frac{1}{R}\left[x \times grad \sum_{m=-1}^{1} r\mathrm{Y}_{1}^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{m1}^{(3)}\right],$$

$$x \in \Omega^+. \tag{107}$$

(88) ფორმულიდან ვღებულობთ, რომ

$$\mathrm{Y}_{1}^{(m)}(\vartheta,\varphi) = \sqrt{\frac{3}{4\pi} \cdot \frac{(1-m)!}{(1+m)!}}\,\mathrm{P}_{1}^{(m)}(\cos\vartheta)e^{im\varphi}.$$

თუ ვისარგებლებთ ლეჟანდრის პოლინომებისათვის ცნობილი ფორმულებით [44]

$$\mathrm{P}_{k}^{(m)}(\cos\vartheta) = (-1)^m \sin^m\vartheta \frac{d^m \mathrm{P}_k(\cos\vartheta)}{d\cos\vartheta^m},$$

$$\mathrm{P}_{k}^{(-m)}(\cos\vartheta) = (-1)^m \frac{(k-m)!}{(k+m)!}\mathrm{P}_{k}^{(m)}(\cos\vartheta),$$

$$\mathrm{P}_1(\cos\vartheta)=\cos\vartheta,$$

მივიღებთ, რომ

$$r\mathrm{Y}_1^{(0)}(\vartheta,\varphi)=\sqrt{\frac{3}{4\pi}}x_3,\qquad r\mathrm{Y}_1^{(1)}(\vartheta,\varphi)=-\frac{1}{2}\sqrt{\frac{3}{2\pi}}(x_1+ix_2),$$

$$r\mathrm{Y}_1^{(-1)}(\vartheta,\varphi)=\frac{1}{2}\sqrt{\frac{3}{2\pi}}(x_1-ix_2),$$

$$\frac{1}{R}grad\sum_{m=-1}^{1}r\mathrm{Y}_1^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{m1}^{(3)}=\frac{1}{2R}\sqrt{\frac{3}{2\pi}}\left[e_1\left(\mathrm{A}_{-11}^{(3)}-\mathrm{A}_{11}^{(3)}\right)-ie_2\left(\mathrm{A}_{-11}^{(3)}+\mathrm{A}_{11}^{(3)}\right)+\sqrt{2}e_3\mathrm{A}_{01}^{(3)}\right],$$

სადაც

$$e_1=(1,0,0)^{\mathrm{T}},\quad e_2=(0,1,0)^{\mathrm{T}},\quad e_3=(0,0,1)^{\mathrm{T}},$$

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\frac{1}{2R}\sqrt{\frac{3}{2\pi}}\left[e_1\left(\mathrm{A}_{-11}^{(3)}-\mathrm{A}_{11}^{(3)}\right)-ie_2\left(\mathrm{A}_{-11}^{(3)}+\mathrm{A}_{11}^{(3)}\right)+\sqrt{2}e_3\mathrm{A}_{01}^{(3)}\right]=b\,, \tag{108}$$

სადაც b სამგანზომილებიანი ნებისმიერი მუდმივი ვექტორია.

თუ (108) აღნიშვნას გავითვალისწინებთ (107)-ში, მივიღებთ

$$\sqrt{2}\sum_{m=-1}^{1}w_{m1}^{+}(r)\mathrm{Z}_{m1}(\vartheta,\varphi)=[b\times x],$$

რის გამოც $u(x)$ ვექტორი წარმოდგენილი (106) ფორმულით მიიღებს შემდეგ სახეს

$$\begin{aligned}u(x)=[b\times x]+\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\ &\{u_{mk}^{+}(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)+\\ +\sqrt{k(k+1)}&\left[v_{mk}^{+}(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+(1-\delta_{k1})w_{mk}^{+}(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)\right]\},\qquad x\in\Omega^{+},\end{aligned} \tag{109}$$

δ_{k1} კრონეკერის სიმბოლოა.

შევისწავლოთ ახლა $(\mathrm{III}\cdot\mathrm{II})^{+}$ ამოცანა.

თუ (90), (92) და (93) ტოლობებში გადავალთ ზღვარზე როცა $x\to z\in\partial\Omega$ და გავითვალისწინებთ (95) და (96) ტოლობებს, მივიღებთ $(\mathrm{III}\cdot\mathrm{II})^{+}$ ამოცანის შესაბამის წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემას

$$u_{mk}^{+}(R)=\delta_{mk}^{(4)},\qquad \frac{d}{dR}\vartheta_{mk}^{(1)}(R)=\delta_{mk}^{(5)},\qquad \frac{d}{dR}\vartheta_{mk}^{(2)}(R)=\delta_{mk}^{(6)},\qquad k\geq 0,$$

$$b_{mk}^{+}(R)=\beta_{mk},\qquad c_{mk}^{+}(R)=\gamma_{mk},\qquad k\geq 1. \tag{110}$$

თეორემა 1.11, თეორემა 2.1-სა და (98), (100) ტოლობების თანახმად (110) სისტემა თავსებადია, განუსაზღვრელი რჩება მხოლოდ ოთხი მუდმივი, $A_{00}^{(4)}$ და $A_{m1}^{(3)}$, $m=-1,0,1.$ ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან $U(x)$ ვექტორი განისაზღვრება $u(x)=[b\times x]$ ვექტორისა და $\vartheta_j(x)=c$, $j=1,2$ შესაკრების სიზუსტით.

თუ (110) სისტემის ამონახსნს შევიტანთ (89)-ში მივიღებთ $(\mathrm{III}\cdot\mathrm{II})^{+}$ ამოცანის ამონახსნს. თუ სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციებისგან მოვითხოვთ, რომ

$$f(z)\in C^3(\partial\Omega),\qquad f_j(z)\in C^3(\partial\Omega),\qquad j=4,5,6.$$

მაშინ (89)-(91) მწკრივები იქნებიან აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი.

§3. $(\mathrm{III})^{-}$ ამოცანის ამოხსნა

ამ ამოცანის ამონახსნი ვეძებოთ (17) სახით, სადაც

$$\Phi_j(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left(\frac{R}{r}\right)^{k+1}\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(j)},\qquad j=1,2,3,4,$$

$$\Phi_5(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}h_k(\lambda_1 r)\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)\mathrm{A}_{mk}^{(5)},\qquad (111)$$

$\mathrm{A}_{mk}^{(j)}, j=1,2,...,5$ საძიებელი მუდმივებია, (r,ϑ,φ), x წერტილის სფერული კოორდინატებია, $\mathrm{Y}_k^{(m)}(\vartheta,\varphi)$ სფერულ ფუნქციას აქვს (88) სახე, ხოლო

$$h_k(\lambda_1 r)=\sqrt{\frac{R}{r}}\,\frac{K_{k+1/2}(\lambda_1 r)}{K_{k+1/2}(\lambda_1 R)},$$

$K_{k+1/2}(\lambda_1 r)$ წარმოსახვით არგუმენტიანი ჰანკელის ფუნქციაა.

თუ $\Phi_j(x), j=2,3$ ფუნქციის მნიშვნელობას (111)-დან შევიტანთ (26)-ში და გავითვალისწინებთ (16)-ის პირველ ტოლობას, მივიღებთ, რომ $\mathrm{A}_{00}^{(j)}=0,\ j=2,3.$

$\Phi_j(x),\ j=1,2,\ldots,5$ ფუნქციის (111) მნიშვნელობები შევიტანოთ (17)-ში და გავითვალისწინოთ (15) ტოლობები, მივიღებთ

$$u(x)=\sum_{k=0}^{\infty}\sum_{m=-k}^{k}\left\{u_{mk}^{-}(r)\mathrm{X}_{mk}(\vartheta,\varphi)+\sqrt{k(k+1)}\left[v_{mk}^{-}(r)\mathrm{Y}_{mk}(\vartheta,\varphi)+w_{mk}^{-}(r)\mathrm{Z}_{mk}(\vartheta,\varphi)\right]\right\}$$

$$x\in\Omega^{-},\quad (112)$$

